



საჯარუდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე  
სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ  
სამართალდარღვევათა საქმეები  
სამართლებრივი ანალიზი

მოკლე მიმოხილვა

**სავარაუდოდ პოლიტიკური  
მოტივაციის ექონე სისხლის  
სამართლის და ადვინისტრაციულ  
სამართალდარღვევათა საქმეები**

**სამართლებრივი ანალიზი**

**ნაწილი II**

**მოკლე მიმოხილვა**

**თბილისი  
2012**

კვლევა დაფინანსებულია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. კვლევის შინაარსი არ შეიძლება აღქმულ იქნეს, როგორც დონორის ოფიციალური პოზიცია.



Kingdom of the Netherlands

**სისხლის სამართლის  
საქმეების ანალიზის ავტორი: ეკა ხუციშვილი**

**თანავტორები: ნინო გობრონიძე  
მანა ხუციშვილი  
მინაილ ლოლაძე  
გაბი მოსიაშვილი  
რევაზ რევაზიშვილი**

**ადმინისტრაციულ  
სამართალდარღვევათა საქმეების  
ანალიზის ავტორები: ნინო გობრონიძე  
კახა კოჭორიძე  
ლიკა ნიკლაური  
ზორის მაჭარაშვილი  
ნონა ასკილაშვილი**

**რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი**

**ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე**

**გამოცემაზე პასუხისმგებელი: ეკატერინე ფოფხაძე  
ნინო გობრონიძე**



აიწყო და დაკაბადონდა  
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.  
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო  
(+995 32) 295 23 53, 293 61 01  
ტირაჟი: 500 ც.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2012, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

## შესავალი

საია უკვე მეორედ წარმოგიდგენთ სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ანალიზს. უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოიკვეთა ერთი თვალმისაცემი ტენდენცია – ქვეყანაში პოლიტიკურად დაძაბულ პერიოდში მასობრივად აკავებენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს. იგულისხმება ოპოზიციური პარტიების მასშტაბური საპროტესტო აქციები 2007, 2009 და 2011 წლებში. სწორედ ამ პერიოდებში ოპოზიციის წარმომადგენელთა დაკავებები შესამჩნევად იზრდება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2011 წელს გამოაქვეყნა მონიტორინგის ანგარიში, რომელშიც შევიდა 2009 წლის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით დაკავებული ადამიანების საქმეები და მათი ანალიზი. მონიტორინგმა გამოავლინა არაერთი დარღვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მართლმსაჯულების განხორციელებისას.

წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულია 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით დაკავებულ პირთა საქმეები, რომელთა შესწავლა სწორედ დაკავებების მასობრივმა ხასიათმა გადაგვანყვეტინა. გარდა ამისა, კვლევაში ასევე მოცემულია ე.წ. ფოტორეპორტიორთა და კიდევ რამდენიმე საქმე, რომლებიც, მართალია, არ უკავშირდება მაისის საპროტესტო აქციებს, თუმცა, მონიტორინგის მიმდინარეობის პროცესში გამოვლინდა და სახეზეა დაკავების პოლიტიკური მოტივი.

საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა კიდევ ერთი ტენდენცია: ოპოზიციური პარტიების აქტივისტებს ხშირად აკავებენ იარაღისა და ნარკოტიკის უკანონო ფლობის ან პოლიციისათვის წინააღმდეგობის განწვევის ბრალდებით. აღნიშნული საქმეები ძალიან ჰგავს ერთმანეთს და ყველგან იდენტური დარღვევები გვხვდება. ამასთან, სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლო ასეთი ტიპის საქმეებში იყენებენ მტკიცების დაბალ სტანდარტს. შედეგად ვიღებთ იმას, რომ საქმეების უმრავლესობაში მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები ადასტურებენ დანაშაულის ფაქტს, ჩხრეკა და ამოღება მიმდინარეობს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, არ ტარდება დამატებითი ექსპერტიზები, არც სასამართლო ითხოვს უფრო მყარ მტკიცებულებებს და, უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ პოლიციელების ჩვენება კმარა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, მაშინ

როცა, სხვა ფაქტები აღნიშნული ჩვენების საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

წინამდებარე კვლევის უპირველეს მიზანს წარმოადგენდა საქმეთა შესწავლა და იმის დადგენა, დაცული იყო თუ არა შესაბამისი საპროცესო და მატერიალური ნორმები დაკავების, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სტადიაზე. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების შემთხვევაში, კვლევა შეეხება დროებით მოთავსების იზოლაციის პირობებსაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევაში წარმოდგენილი ყველა საქმე არსებითი ხასიათის დარღვევებს შეიცავს და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მართლმსაჯულების განხორციელებას. ხაზგასმით აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ყველა საქმე, გარდა საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეებისა, არსებითი ხასიათის დარღვევების მიუხედავად, ერთი სამართლებრივი შედეგით დასრულდა. სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა პირველი ინსტანციის განაჩენები, ხოლო უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად არ ცნო.

აღსანიშნავია, რომ კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა პირებისთვის პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭება, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ სტატუსის მინიჭება არა ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის, არამედ შესაბამისი კომპეტენტური ორგანიზაციის პრეროგატივაა. თუმცა, კვლევაში მოცემული დასკვნები, შესაძლებელია, პოლიტიკური პატიმრის სტატუსის დადგენისას სახელმძღვანელო მასალად იქნეს გამოყენებული.

კვლევისთვის შეირჩა 21 სისხლის სამართლის საქმე, რომლებშიც ბრალდებას წარმოადგენს: წინააღმდეგობა წესრიგის დამცველის მიმართ, ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვა, შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, ტელე-რადიო მაუწყებლობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა-ტარება, ამომრჩევლის მოსყიდვა.

რაც შეეხება კვლევის სტრუქტურას, იგი სამ ნაწილად არის გაყოფილი: პირველი ეთმობა სისხლის სამართლის საქმეებს, მეორე პრობლემებსა და რეკომენდაციებს, ხოლო მესამე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს.

სისხლის სამართლის საქმეები დაყოფილია თავებად საქმეთა ფაქტობრივი გარემოებების, ბრალდების შინაარსისა და საზოგადოებრივი ინტერესის მიხედვით. თითოეულ თავში მო-

ცემულ საქმეთა ანალიზს წინ უსწრებს გამოვლენილი პრობლემები და მათი მოკლე სამართლებრივი შეფასება.

რაც შეეხება კვლევის მესამე ნაწილს, მასში შესულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 12 საქმე და მათი ანალიზი. აღნიშნულს წინ უძღვის საერთო შესავალი, რომელშიც აღწერილია ძირითადი პრობლემები და ტენდენციები.

მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსად წინა კვლევისა, ამჯერადაც განხილული საქმეებიდან რამდენიმეზე საადვოკატო მომსახურებას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ადვოკატები აწარმოებდნენ. იმ საქმეებზე, სადაც დაკავებულს/დაპატიმრებულს სამართლებრივ დახმარებას სხვა ადვოკატები უწევდნენ, ანალიზის მეთოდად გამოყენებულ იქნა საქმეზე მომუშავე ადვოკატებთან გასაუბრება და საქმის მასალების დეტალური შესწავლა, ხოლო მიმდინარე საქმეების შემთხვევაში – ასევე სასამართლო პროცესების მონიტორინგი.

# თავი I

## სისხლის სამართლის საქმეები

### საზოგადოების, სახელმწიფოს და ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები

#### შესავალი

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის საქმეები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს, საზოგადოების და ადამიანის უფლებების წინააღმდეგ. აღნიშნული საქმეების ერთ თავში გაერთიანების მიზეზს მათ მიმართ არსებული განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი წარმოადგენს. ინტერესს იწვევს ბრალდებათა შინაარსი და ფაქტობრივ გარემოებათა ერთობლიობა თითოეული საქმის მიმართ.

წინამდებარე თავში წარმოდგენილი საქმეებია: ჯემალ სურამელაშვილის და სხვათა მიმართ, შეთქმულების ბრალდებით კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად; ზურაბ ქურციკიძისა და სხვათა მიმართ ჯაშუშობის ბრალდებით; დავით ჯარმელაშვილისა და სხვათა მიმართ, უკანონო შეიარაღებული ფორმირების ბრალდებით; ანანიძის, მუხაშავერიასა და სხვათა მიმართ ტელევიზიის ბლოკირების ბრალდებით; მერაბ კაჭახიძის მიმართ, ამომრჩევლის მოსყიდვის ბრალდებით.

ყველა საქმე არაპროგნოზირებადი შედეგით დასრულდა – გამოძიებამ ე.წ. ღმობიერება გამოიჩინა იმ ფონზე, როდესაც დანაშაულთა სპეციფიკასა და საჯარო ინტერესს, ერთობლიობაში, როგორც წესი, პროპორციულად უფრო მკაცრი შედეგი უნდა მოჰყოლოდა. კერძოდ, მ. კაჭახიძის საქმე სისხლის სამართალწარმოებიდან მისი განრიდებით დასრულდა იმ ფონზე, როდესაც მას ბრალი ედებოდა ამომრჩევლის მოსყიდვაში და განრიდების მომენტიანობის საპარლამენტო არჩევნებზე უკვე გამარჯვებული იყო ის საარჩევნო ბლოკი, რომლის კოალიციაშიც მისი პარტია შედიოდა. სხვა საქმეები, მიუხედავად მათი სიმძიმისა,<sup>1</sup> საპროცესო შეთანხმებით დასრულდა, რაიმე შემხვედრი თანამშრომლობის ან სხვა საგამოძიებო ღირებულების მქონე სარგებლის გარეშე.

ამ თავში წარმოდგენილ ზემოაღნიშნულ საქმეთაგან ყველას

<sup>1</sup> ადრესატების გათვალისწინებით, სამართლებრივი ზიანი ამ საქმეებში წარდგენილი ბრალდების მიხედვით, განსაკუთრებით მაღალია.

სრული შესწავლა ვერ მოხერხდა: რიგ შემთხვევაში იმის გამო, რომ საქმეს მიენიჭა საიდუმლო გრიფი, რიგ შემთხვევაში კი, იმის გამო, რომ სასამართლო პროცესი დაიხურა.

საქმეთა სრულ ანალიზს წინ უსწრებს მოკლედ წარმოდგენილი პრობლემები და მათი მოკლე სამართლებრივი შეფასება.

## **გამოვლენილი პრობლემები და მათი სამართლებრივი შეფასება**

- ***პირის უკანონო დაკავება — ფიზიკური ძალადობა და თავისუფლების უკანონო აღკვეთა***

### **ფაქტობრივი ვითარება**

რამდენიმე საქმეში პოლიციელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა დაკავებულ პირთა მიმართ ფიზიკურ ძალადობას. გარდა ამისა, ერთ საქმეში პირი რეალურად იმაზე დიდი ხნით იყო დაკავებული, ვიდრე ეს ოფიციალურადაა დაფიქსირებული ოქმში.

### **სამართლებრივი შეფასება**

კონსტიტუციით, ისევე როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, აკრძალულია პირის მიმართ რაიმე სახის იძულება სისხლის სამართალწარმოების დროს და იგი გულისხმობს არასათანადო მოპყრობას (წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას). კონსტიტუციით, ასევე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, მკაცრადაა განსაზღვრული პირის დაკავების ვადა. ვადის გადამეტება კი, თავისუფლების უკანონო აღკვეთას ნიშნავს.

ამ შემთხვევაში, ვინაიდან ორივე ზემოაღნიშნულ საქმეში უკანონო ქმედებას ჰქონდა ადგილი – დაირღვა როგორც ძალადობის აკრძალვის, ისე პირის თავისუფლებაში ყოფნის პრინციპი.

- ***ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებები; მხოლოდ ალიარებითი ჩვენებები — მტკიცების არასაკმარისი სტანდარტი***

### **ფაქტობრივი ვითარება**

საქმეთა უმრავლესობაში ძირითად მტკიცებულებებს წარმოად-



გენს მონმეთა ჩვენებები,<sup>2</sup> რომელიც სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს. გარდა ამისა, საქმის გარემოებების ოფიციალური ვერსია წინააღმდეგობაში მოდის საქმის მიღმა მოძიებულ მასალებთან (იგულისხმება მედიაში გავრცელებული ვიდეო მასალა, ასევე თავად მწარმოებელი ორგანოს მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადებები). რიგ საქმეებში მხოლოდ ბრალდებულთა აღიარებითი ჩვენებებია.

ეს ყოველივე კი, ერთობლიობაში, ამ მტკიცებულებათა მიმართ მნიშვნელოვან ეჭვებს აღძრავს.

#### სამართლებრივი შეფასება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ეყრდნობოდეს დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას.

საქმეთა უმეტეს ნაწილში მტკიცებულებები დამაჯერებლობას მოკლებულია. შესაბამისად, არ არის დაცული მტკიცების სტანდარტი.

- ***ქმედების არასწორი კვალიფიკაცია — ერთი ქმედებისთვის ორჯერ პასუხისმგებლობა***

#### ფაქტობრივი ვითარება

ერთ საქმეში, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობასთან ერთად, ქმედება დაკვალიფიცირებულია, როგორც ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა და შენახვა. უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა შესაძლოა გამოიხატოს სხვადასხვა სახით და, მათ შორის, იარაღის შეძენითა და შენახვით.

#### სამართლებრივი შეფასება

კონსტიტუციით განმტკიცებულია ერთი ქმედებისთვის ორჯერ პასუხისმგებლობის აკრძალვა, რომელიც ასევე განმტკიცებულია სისხლის სამართლის კოდექსით. ნორმათა კონკურენციის შემთხვევაში, გამოიყენება სპეციალური ნორმა ქმედების კვალიფიკაციისას. იარაღის შეძენის და შენახვის შემთხვევაში, თუკი იგი უკანონო ფორმირებაში პირის მონაწილეობას გამოხატავს, სპეციალური ნორმით — უკანონო ფორმირებაში მონაწილეობის მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს.

---

<sup>2</sup> მათი უმრავლესობა პოლიციელია.

ვინაიდან ერთ-ერთ საქმეში ორივე ნორმა იქნა გამოყენებული, დაირღვა ორჯერ პასუხისმგებლობის აკრძალვის პრინციპი.

- **დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ცეცხლსასროლი იარაღის შექენის ბრალდება — უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა**

ფაქტობრივი გარემოება

ერთ-ერთ საქმეზე პირს ბრალად წარდგენილი აქვს ცეცხლსასროლი იარაღის დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუდგენელი პირებისგან შექენა და შენახვა. ის ფაქტი, რომ გამოძიებამ ვერ გამოავლინა იარაღის შექენის, როგორც ცალკე აღებული დანაშაულის გარემოება, მითითებულია როგორც ბრალდების დადგენილებაში, ისე განაჩენში.

სამართლებრივი შეფასება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციას, როგორც საქმის წარმოების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ ყველა ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მოცემულ საქმეებში არათუ ეჭვი არ არსებობს, არამედ სრულიად დაუდგენელია პირის მიერ იარაღის შექენის ფაქტი. შესაბამისად, დარღვეულია უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი.

- **საპროცესო შეთანხმება თითქმის ყველა საქმეზე — გარკვეული ეჭვები საქმის წარმოების კანონიერების მიმართ**

ფაქტობრივი გარემოება

საქმეები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ (ჯაშუშობა, შეთქმულება კონსტიტუციური ნყობილების ძალადობით შესაცვლელად), დასრულდა საპროცესო შეთანხმებით. გამოძიებასთან თანამშრომლობა ან რაიმე სხვა გონივრული მიზეზი, რომელიც, გამოძიებისთვის საპროცესო შეთანხმების დადების კონკრეტული პირობა იქნებოდა, არ ყოფილა.

## სამართლებრივი შეფასება

საპროცესო შეთანხმების მიზანს წარმოადგენს სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულება. ეფექტიანი მართლმსაჯულებითვისთვის უნდა არსებობდეს შესაბამისი გარემოებები, რომლებიც აშკარად მიუთითებს არა ტრადიციული, არამედ სწრაფი მართლმსაჯულების საჭიროებაზე. ისეთი დანაშაულები, როგორიცაა მაგ. ჯაშუშობა, თავისი სიმძიმის მიხედვით, ლოგიკურად უნდა გამოორიცხავდეს საპროცესო შეთანხმებას, თუ ბრალდებული არ თანამშრომლობს გამოძიებასთან.

ვინაიდან მოცემულ საქმეებში ბრალდებულთა მხრიდან ადგილი არ ჰქონია თანამშრომლობას ან რაიმე სხვა ღონისძიებას, რომელიც გამოძიებას მათდამი ლმობიერად განაწყობდა, ჩნდება დასაბუთებული ეჭვები, თავად საქმის წარმოების კანონიერებაზე. ამ საქმეებში ძირითად მტკიცებულებებს ბრალდებულთა ჩვენებები წარმოადგენს ერთმანეთის შესახებ, თანაც მას შემდეგ რაც ისინი დააკავეს.

- **განრიდების მიზანშეწონილობის დაუსაბუთებლობა — გარკვეული ეჭვები საქმის წარმოების კანონიერების მიმართ**

## ფაქტობრივი გარემოება

ერთ-ერთ საქმეზე, არსებითი განხილვის ეტაპზე ბრალდებული გამოძიებამ განარიდა სისხლის სამართალწარმოებას საჯარო ინტერესის არარსებობის მოტივით, მაშინ როდესაც, თუ გამოძიების ვერსიას დადგენილად მივიჩნევთ, ამ პირის დევნის საჯარო ინტერესი ნამდვილად არსებობდა. მას ბრალად ედებოდა ამომრჩევლის მოსყიდვა სწორედ იმ პარტიის სასარგებლოდ, რომელიც განრიდების მომენტისთვის გამარჯვებული საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში შედიოდა. განრიდების შესახებ გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული მისი გამოყენების მიზანშეწონილობა.

## სამართლებრივი შეფასება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირს პროკურორი დისკრეციის საფუძველზე განარიდებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისგან. ამ შემთხვევაში იგი ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის პოლიტიკის პრინციპებით, რომლის თანახმად, მან უნდა გააანალიზოს, არის თუ არა საჯა-

რო ინტერესში დევნის დანყება. დევნა არ უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც დევნის საწინააღმდეგო საჯარო ინტერესი აშკარად გადაწონის პირის დასჯის ინტერესს.

ვინაიდან, განრიდების შესახებ გადაწყვეტილებით უცნობი რჩება, თუ რატომ აღარ არსებობდა საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე დევნის საჯარო ინტერესი, განრიდების მიზანშეწონილობა ბუნდოვანია, რაც საქმის წარმოების კანონიერების მიმართ გარკვეულ ეჭვებს ბადებს.

- **საქმის მასალების არაგონივრულად გასაიდუმლოება — საჯაროდ განხილვის პრინციპის დარღვევა**

#### ფაქტობრივი გარემოება

წინამდებარე თავში შესულ ერთ-ერთ საქმეში საქმის მასალები სახელმწიფო საიდუმლოებად გამოცხადდა. გადაწყვეტილება, რომლითაც საქმეს გრიფით საიდუმლო დაედო, არ მოგვანოდა შესაბამისმა დაწესებულებამ. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობი დარჩა, თუ რატომ და რამდენად სწორად იყო მიღებული გადაწყვეტილება საქმის მასალების სახელმწიფო საიდუმლოდ ცნობის თაობაზე.

#### სამართლებრივი შეფასება

საქმის მასალების სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევა ხორციელდება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონით“, სადაც განსაზღვრულია კონკრეტული წინაპირობები, რა შემთხვევაში ჩაითვლება ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებად. გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის დასაბუთებას და შესაბამისად, უნდა იყოს ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირისთვის.

ერთ-ერთ საქმეში გადაწყვეტილება ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ უკანონოდ იქნა მიჩნეული საიდუმლოდ და არ მიენოდა საზოგადოებას. შესაბამისად, ჩვენთვის დღემდე უცნობია, თუ რატომ მოხდა საქმის მასალებისთვის საიდუმლო გრიფის მინიჭება.

- **მტკიცებულების წარდგენასა და განხილვაში დაცვის მხარისთვის ხელის შეშლა — თანასწორობის და შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევა**

**ფაქტობრივი გარემოება**

ერთ საქმეში ბრალდების მხარემ დაცვის მხარეს არ გადასცა ის ვიდეო მასალა, რომელიც ტელევიზიით გავრცელდა, როგორც ამ უწყების ოფიციალური ინფორმაცია, ანუ მოხდა ვიდეომასალის დამალვა; მეორე საქმეში ბრალდების მხარის მიერ დაცვის მხარისთვის ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო კვლევის საგნის გადაცემაზე სასამართლომ უთხრა უარი; მესამე საქმეში სასამართლომ არ დაუშვა დაცვის მხარის ინფორმაცია მტკიცებულებად, მაშინ როდესაც იმავე მეთოდებით მოპოვებული ბრალდების მხარის ინფორმაცია ცნო დასაშვებად.

**სამართლებრივი შეფასება**

სისხლის სამართალწარმოება ეფუძნება თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპს, რომლის თანახმადაც, მტკიცებულებების მოპოვებასა და წარდგენაში ორივე მხარეს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა.

ამ საქმეებში დაცვის მხარეს შეეზღუდა როგორც მტკიცებულების მოპოვების, ისე წარდგენის შესაძლებლობა ბრალდების მხარესთან შედარებით.

- **საქმის მწარმოებელი ორგანოს მიერ კანონის არასწორი გამოყენება — კანონის უზენაესობის პრინციპის დარღვევა**

**ფაქტობრივი გარემოება**

ერთ საქმეში, კანონის მოთხოვნათა უგულებელყოფით, გამოძიება დაიწყო არაუფლებამოსილმა პირმა და ჩაატარა კანონით აკრძალული საგამოძიებო მოქმედებები. ასევე, მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შესახებ შუამდგომლობა ერთ სხდომაზე არ განიხილა იმ მოტივით, რომ მას ამის საფუძველს საპროცესო კანონი არ აძლევდა, ხოლო შემდეგ სხდომაზე არა მხოლოდ განიხილა, არამედ დააკმაყოფილა კიდეც. აღსანიშნავია, რომ მეორედ შუამდგომლობის დაყენებისას ბრალდების მხარე უკვე ეთანხმებოდა დაცვის მხარის შუამდგომლობას.

## სამართლებრივი შეფასება

კანონი სავალდებულოა შესასრულებლად, რაც ნიშნავს იმას, რომ მისი გამოყენება უნდა მოხდეს ზუსტად ისე, როგორც ამას თავად ადგენს. მოცემულ საქმეში ვინაიდან საქმის მწარმოებელმა ორგანოებმა არ შეასრულეს კანონის მოთხოვნა, ამით დაირღვა კანონის უზენაესობის პრინციპი, რომელმაც გააუარესა ბრალდებულის მდგომარეობა.

## **ჯემალ სურამელაშვილის და სხვათა მიმართ არსებული სისხლის სამართლის საქმე**

2011 წლის 11 მაისს ჯემალ სურამელაშვილმა, ნიკოლოზ გოგუაძემ, რამაზ ღვალაძემ, ჯემალ გუნდიაშვილმა და სხვებმა დააფუძნეს მოძრაობა „ეროვნული სარწმუნოებრივი მოძრაობა უფლისა და სარწმუნოებისათვის“. ისინი მონაწილეობდნენ 2011 წლის მაისის საპროტესტო აქციებში, გარდა 26 მაისის აქციისა.

ზემოხსენებულ პირებს ბრალი ედებოდათ სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში – შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად.

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ ჯემალ სურამელაშვილის მიმართ გამოიტანა გამამტყუნებელი განაჩენი თითოეულ მათგანს სასჯელად განეზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით

## **დავით ჯარმელაშვილის, ბონდო კაკაშვილისა და ხვიჩა მაჭარაშვილის სისხლის სამართლის საქმე**

დავით ჯარმელაშვილი „ხალხის პარტიის“ წევრი, ბონდო კაკაშვილი და ხვიჩა მაჭარაშვილი კი აღნიშნული პარტიის აქტივისტები არიან.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 18 აგვისტოს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანა განაჩენი დავით ჯარმელაშვილის, ხვიჩა მაჭარაშვილის და ბონდო კაკაშვილის მიმართ.

დავით ჯარმელაშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 236-ე მუხლის პირველი ნაწილით — ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა და 223-ე

მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ დანაშაულებს ჩადენაში — უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა. ჯარმელაშვილს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა (რეალურად მოსახდელად) და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა (პირობითი მსჯავრი).

ხვიჩა მაჭარაშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (ერთი ეპიზოდი) — ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (მეორე ეპიზოდი) — ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა, 236-ე მუხლის მეორე ნაწილით — ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების და ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა და ტარება, 223-ე მუხლის მეორე ნაწილით — უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა, განსაზღვრული დანაშაულების ჩადენაში. მაჭარაშვილს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა (რეალურად მოსახდელად) და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა (პირობითი მსჯავრი).

ბონდო კაკაშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით — ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა და შენახვა და 223-ე მუხლის მეორე ნაწილით — უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა განსაზღვრულ დანაშაულების ჩადენაში. კაკაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით (რეალურად მოსახდელად) და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა (პირობითი მსჯავრი).

## **ცოტნე ანანიძის სისხლის სამართლის საქმე**

ცოტნე ანანიძე მონაწილეობდა 2011 წლის 21 მაისს დაგეგმილ საპროტესტო აქციებში, არარეგისტრირებული კავშირის „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ სახელით;

საქმის არსებითი განხილვის გარეშე, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ანანიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით — ტელერადიომაუწყებლობის დაწესებულების ბლოკირება და ხელში ჩაგდების მცდელობა, რამაც შეაფერხა ამ დაწესებულების ნორმალური მუშაობა, ჩადენილი ფაქტურად; ასევე, ამავე კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით — პოლიციის მუშა-

კის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის და მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით, ჯგუფის მიერ. სასჯელად, ორივე დანაშაულისთვის ერთად, ანანიძეს განესაზღვრა 2 წლით რეალურად და ორი წლით პირობით თავისუფლების აღკვეთა, სამი წლის გამოსაცდელი ვადით.

## **გოჩა მუხაშავერიას და სხვების სისხლის სამართლის საქმე**

გოჩა მუხაშავერია, დავით ფარტენაძე, ტარიელ ფუტყარაძე, ვახტანგ სიორიძე, ხვიჩა გამარჯობაძე, ანზორ სოლომონიძე, დიმიტრი ჭეიშვილი მონაწილეობდნენ 2011 წლის 21 მაისს დაგეგმილ საპროტესტო მანიფესტაციებში არარეგისტრირებული კავშირის „ნარმომადგენლობითი სახალხო კრების“ სახელით.

განაჩენის თანახმად, ანზორ სოლომონიძე, ხვიჩა გამარჯობაძე, ვახტანგ სიორიძე, დიმიტრი ჭეიშვილი, დავით ფარტენაძე, ტარიელ ფუტყარაძე და გოჩა მუხაშავერია დამნაშავედ იქნენ ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და, ამავე კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით. მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ბრალად დაედოთ ტელემაუწყებლობის დაწესებულების ბლოკირება და ხელში ჩაგდება მცდელობა, რამაც შეაფერხა ამ დაწესებულების ნორმალური მუშაობა, ჩადენილი ჯგუფურად. 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით კი – პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის და მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით ჯგუფის მიერ. ტ.ფუტყარაძის გარდა, სასჯელად თითოეულ მათგანს საბოლოოდ დაენიშნა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც ორი წელი ჩაეთვაღათ პირობითად, სამი კი – გამოსაცდელ ვადად. ტ.ფუტყარაძეს სასჯელად საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რომელიც ჩაეთვაღა პირობითად, სამი წელი კი – გამოსაცდელ ვადად.

## **ზურაბ ქურციკიძის, ირაკლი გეგენიძის, გიორგი აზდალასისა და ნათელა გეგენიძის სისხლის სამართლის საქმე**

ზურაბ ქურციკიძე დაკავებამდე იყო ევროპის პრეს-ფოტო სააგენტოს ფოტო რეპორტიორი, ირაკლი გეგენიძე – საქართველოს



პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურის მთავარი სპეციალისტი, გიორგი აბდალაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მინვეული სპეციალისტი, ხოლო ნათელა გედენიძე – ჟურნალ „პრაიმ-ტაიმის“ ფოტო რეპორტიორი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 22 ივლისს არსებითი განხილვის გარეშე, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ზურაბ ქურციკიძე, ირაკლი გედენიძე და გიორგი აბდალაძე დამნაშავედ ცნო ჯამუშობაში.

ზურაბ ქურციკიძეს სასჯელად შეეფარდა 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით; გიორგი აბდალაძეს – 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, პირობითად, 4 წლის გამოსაცდელი ვადით; ირაკლი გედენიძეს – 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა, პირობითად, 4 წლის გამოსაცდელი ვადით; ხოლო ნათელა გედენიძეს – თავისუფლების აღკვეთა 6 თვის ვადით, პირობითად, 1 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით.

### **მერაბ კაჭახიძის სისხლის სამართლის საქმე**

მერაბ კაჭახიძე დაკავებისას კონსერვატიული პარტიის წევრი და ამავე პარტიის საორგანიზაციო სამსახურის ხელმძღვანელი იყო. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ, როდესაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა, იგი უკვე იყრიდა კენჭს პროპორციული სისტემით 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში, საარჩევნო ბლოკ „ქართული ოცნების“ კანდიდატად.<sup>3</sup>

საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველომ, საჯარო ინტერესის არარსებობის გამო, 2012 წლის 8 ოქტომბერს სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყვიტა და მერაბ კაჭახიძე პასუხისმგებლობას განარიდა. ამ უკანასკნელს დაეკისრა 500 ლარის ოდენობით თანხის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

<sup>3</sup> ამჟამად მ.კაჭახიძე საქართველოს პარლამენტის წევრია.

## პოლიციის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული

### შესავალი

წინამდებარე თავში თავმოყრილია პოლიციის წინააღმდეგ მიმართული სისხლის სამართლის ოთხი საქმე. ამ საქმეებშიც, ისევე როგორც სხვა ერთი კატეგორიის საქმეებში (მაგ. ნარკოტიკული დანაშაული), გამოვლინდა მკვეთრი მსგავსება გამოძიების ტაქტიკასა და მის წარმართვაში. გარდა ამისა, საბოლოო შედეგის მიხედვითაც, მსგავსი მიდგომები იკვეთება საპროცესო შეთანხმების დადების ვითარებასთან დაკავშირებით.

თითქმის ყველა საქმეში პოლიციისთვის წინააღმდეგობის განწევის მიზეზი საკმაოდ უმნიშვნელოა, რომელმაც, როგორც წესი, არ უნდა გამოიწვიოს რაიმე სახის დანაშაული. გამოძიების მიმდინარეობისას ბრალდების მხარის ძირითად მტკიცებულებას იმ პოლიციელთა ჩვენებები წარმოადგენს, რომლებიც თავად დაზარალებულები და, შესაბამისად, დაინტერესებული პირები არიან. საპროცესო შეთანხმების დადება კი სასამართლოში საქმეთა განხილვის ეტაპზე მაშინ, როდესაც იგი წარმოადგენს დაჩქარებული და ეფექტური მართლმსაჯულების მეთოდს, საქმის გააჭიანურების მიზეზი ხდება.

წინამდებარე თავში საქმეები ამირან მერებაშვილის, ზურაბ ხუბულაშვილის, გია სალუქვაძისა, ემზარ ქვარიანისა და სხვათა მიმართ ცალ-ცალკეა განხილული. საქმეთა ანალიზს წინ უსწრებს გამოვლენილი პრობლემები და მათი მოკლე სამართლებრივი შეფასება.

### გამოვლენილი პრობლემები და მათი სამართლებრივი შეფასება

- **დაკავების დროს გამოვლენილი არსებითი დარღვევები: გადამეტებული ძალადობა, ოქმის უზუსტობა — არასათანადო მოპყრობის და უკანონო თავისუფლების შეზღუდვის აკრძალვა**

#### ფაქტობრივი ვითარება

საქმეებში დაკავებულებს აღენიშნებოდათ უფრო მეტი დაზიანებები, ვიდრე დაზარალებულად ცნობილ პოლიციელებს. დაზიანებების ფაქტებზე გამოძიება არ დაწყებულა. ერთ-ერთ საქმეში დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი ზუსტ ვითარებას არ ასახავს.

### სამართლებრივი შეფასება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით აკრძალულია დაკავების დროს რაიმე სახის ძალადობა. აღნიშნული თუ გამოვლინდა, იგი გარემოებებისთვის აუცილებელ და უკიდურეს ზომებს არ უნდა სცდებოდეს. ვინაიდან ამ საქმეებში პოლიციელებთან წინააღმდეგობის დროს ბრალდებულების მიმართ გაცილებით ინტენსიური ძალადობა გამოიკვეთა, ვიდრე თავად დაზარალებული პოლიციელების მიმართ, ეს უკვე წარმოადგენს არასათანადო მოპყრობას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი უნდა შედგეს ზუსტად. თუ გამოვლინდა დაკავების დროს არსებითი დარღვევა, დაკავებული უნდა გათავისუფლდეს. ვინაიდან ოქმის უზუსტობა არსებითი დარღვევაა, ამის საფუძველზე ბრალდებული ითვლება უკანონოდ თავისუფლებაშეზღუდულად.

- **დაუსაბუთებლად შეფარდებული პატიმრობა — არაპროპორციული აღკვეთის ღონისძიება**

### ფაქტობრივი ვითარება

საქმეში ერთ-ერთ ბრალდებულს შეეფარდა პატიმრობა, მაშინ როდესაც დასაბუთება მისი გამოყენების საჭიროების შესახებ არ არსებობდა.

### სამართლებრივი შეფასება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პატიმრობის გამოყენება უნდა იყოს დასაბუთებული, რაც ნიშნავს იმას, რომ გარემოებები უნდა მიუთითებდეს მისი შეფარდების აუცილებლობაზე. ვინაიდან განსახილველ საქმეში არ არსებობდა ასეთი საფუძველი, გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება იყო არაპროპორციული.

- **არადამაჯერებელი მტკიცებულებები — გამამტყუნებელი განაჩენისთვის მტკიცების დაბალი სტანდარტი**

### ფაქტობრივი ვითარება

არც ერთ საქმეზე გამოძიება არ არის სრულად ჩატარებული. ბრალდების ძირითად მტკიცებულებებს წარმოადგენს უშუა-

ლოდ დამკავებელი პოლიციელების ჩვენებები, რომელთაც ბრალდების თანახმად წინააღმდეგობა გაუწია ბრალდებულმა და ამოღებული ნივთმტკიცება — ქურთუკი, რომელსაც ჩამოხეული აქვს სამხრე და ჯიბე. სხვა არც ერთი ნეიტრალური მტკიცებულებით არ მტკიცდება, ამ პირმა გაუწია თუ არა სინამდვილეში წინააღმდეგობა პოლიციას. ამასთან, არსებული მტკიცებულებები მოდის ურთიერთწინააღმდეგობაში.

### სამართლებრივი შეფასება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის აუცილებელია დამაჯერებელი, აშკარა და ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობა. საქმეების ანალიზით არც ერთ საქმეში მტკიცებულებები არ არის დამაჯერებელი, აშკარა და ერთმანეთთან შეთანხმებული.

- **დანაშაულის ჩადენის ერთი ხერხი: ქურთუკის სამხრის ან/და ჯიბის ჩამოხევა – მტკიცებულებათა მიმართ გარკვეული ეჭვები**

### ფაქტობრივი ვითარება

შესწავლილი საქმეებიდან ვლინდება, რომ პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის მიზეზს წარმოადგენს ისეთი გარემოება, რაც ლოგიკურად, ნორმალური ადამიანისთვის არ წარმოადგენს აგრესიის გამოვლენის საბაზს. ამასთან, პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის განევა თითქმის ყოველთვის ვლინდება ქურთუკის ჯიბის ან/და სამხრის ჩამოხევაში.

### სამართლებრივი შეფასება

მართალია, არც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და არც სისხლის სამართლის კოდექსი, არ განსაზღვრავს, რა შეიძლება ჩაითვალოს ან დანაშაულის დაწყების საფუძვლად ან დანაშაულის ჩადენის ხერხად, მაგრამ ნათელია, რომ განხილულ საქმეებში საქმე გვაქვს თავად საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სავარაუდოდ, ხელოვნურ ფაბრიკაციასთან. საპროცესო კოდექსი ადგენს საქმის მწარმოებელი ორგანოს ვალდებულებას, დაემორჩილოს კანონს, გამოავლინოს დამნაშავე და მის მიმართ განახორციელოს შესაბამისი რეაგირება. ამ ფონზე კი,

საქმის მწარმოებელი ორგანოსგან იკვეთება დანაშაულებრივი გარემოების შექმნა პირის პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

- **საპროცესო შეთანხმება საქმის წარმოების გაჭიანურების შემდეგ — ამ მექანიზმის გამოყენება არაკანონისმიერი მიზნით**

#### ფაქტობრივი ვითარება

შესწავლილ საქმეთა უმრავლესობა დასრულდა საპროცესო შეთანხმებით. შეთანხმებას წინ უსწრებდა საქმის არსებითი განხილვის გადადება მიზეზის გარეშე და პროკურორის აქტიური ინიციატივა შეთანხმების დადების შესახებ. საქმეთა გარემოებები მიუთითებს, რომ საქმე შესაძლოა უფრო შემჭიდროვებულ ვადებში დასრულებულიყო, ვიდრე საპროცესო შეთანხმების შედეგად დასრულდა. გადავადების მიზეზი კი, საპროცესო შეთანხმება იყო.

#### სამართლებრივი შეფასება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სწრაფი მართლმსაჯულების უფლებას ბრალდებულისთვის. რეალიზების მექანიზმს კი, სწორედ საპროცესო შეთანხმება წარმოადგენს. მოცემულ საქმეებზე საპროცესო შეთანხმება აშკარად არ გამოყენებულა ამ მიზნით. შესაბამისად, მესამე პირისთვის მისი დადების საფუძველი არაერთ კითხვას ბადებს თავად საქმის მწარმოებელი პირის მიმართ.

### **ამირან მერეაშვილის სისხლის სამართლის საქმა**

ამირან მერეაშვილი მუშაობდა საქართველოს პარლამენტის ყოფილ თავმჯდომარესთან – ნინო ბურჯანაძესთან. იყო მისი საცხოვრებელი ბინის დაცვის თანამშრომელი.

2011 წლის მაისის თვეში საქართველოში, კერძოდ თბილისში, „სახალხო კრების“ მიერ ორგანიზებული მშვიდობიანი აქციების პერიოდში, ნინო ბურჯანაძის თხოვნით, ამირან მერეაშვილი, საჭიროების შემთხვევაში, აქციის მონაწილეებს საკვები პროდუქტებით ამარაგებდა.

2011 წლის 28 ივლისს ა.მერეაშვილთან, საქმის არსებითი განხილვის გარეშე, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომ-

ლის საფუძველზეც, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. აღნიშნულის თანახმად, იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში – პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა ძალადობით – და სასჯელად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით.

### **ზურაბ ხუბულაშვილის სისხლის სამართლის საქმე**

ზურაბ ხუბულაშვილი იყო მოძრაობა „სახალხო კრების“ აღმასრულებელი საბჭოს წევრი. იგი ხელმძღვანელობდა მოძრაობის მიერ ორგანიზებულ გამოსვლებს აჭარაში. 2011 წლის 25 მაისს, აქტივისტებთან ერთად, ხუბულაშვილი ბათუმიდან თბილისში ჩავიდა, რათა მონაწილეობა მიეღო 2011 წლის 26 მაისს გამართულ აქციაში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2012 წლის 1 მარტს, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანა განაჩენი ზურაბ ხუბულაშვილის მიმართ.

განაჩენის თანახმად, ზურაბ ხუბულაშვილი დამნაშავედ იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 353-ე მუხლის პირველი ნაწილით – პოლიციის მუშაკების მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტისა და შეცვლის მიზნით, ძალადობით და ძალადობის მუქარით. სასჯელის სახედ ხუბულაშვილს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, აქედან – 1 წელი სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 2 წელი – პირობითად, 3 წლის გამოსაცდელი ვადით. დამატებით, სასჯელის სახით, მას შეეფარდა ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით.

### **გია სალუქვაძის სისხლის სამართლის საქმე**

გია სალუქვაძე პასუხისგებაში მიცემისას იყო პოლიტიკური მოძრაობა „სახალხო კრების“ სამგორის რაიონის კომიტეტის თავმჯდომარე. იგი აქტიურად მონაწილეობდა 2011 წლის მაისში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში. ირაკლი ბათიაშვილთან აკავშირებს მეგობრული და ნათესაური ურთიერთობა, კერძოდ ბათიაშვილი არის მისი შვილის ნათლია და ახლო მეგობარი.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გია სალუქვაძე დამნაშავედ

ცნო პოლიციის მუშაკისთვის წინააღმდეგობის განევაში (სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული) და სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით. პირველი ინსტანციის განაჩენი უცვლელი დატოვა სააპელაციო სასამართლომ, ხოლო უზენაესმა საჩივარი დასაშვებად არ ცნო.

### **ემზარ ქვარიანის, რამაზ მეტრეველის, კობა გოცირიძისა და ივანე ჩილვინაძის სისხლის სამართლის საქმე**

ემზარ ქვარიანი შპს „ალგანის“ დაცვის სამსახურის თანამშრომელია. 1992-93 წლებში მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. მსახურობდა ასევე ავღანეთში. ქვარიანი აქტიურად მონაწილეობდა არარეგისტრირებული კავშირის – „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ მიერ 2011 წლის 21-26 მაისს გამართულ საპროტესტო აქციებში.

ივანე ჩილვინაძე – დროებით უმუშევარი, მონაწილეობდა 25-26 მაისს გამართულ აქციებში. არის ნინო ბურჯანაძის – ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერის – ახლობელი. ვანე ჩილვინაძე ნინოს ბურჯანაძეს ეხმარებოდა აგიტაცია-პროპაგანდაში. მასთან ერთად იყვნენ მისი მეგობრები – რამაზ მეტრეველი და კობა გოცირიძე, რომლებიც ჩილვინაძესთან ერთად მივიდნენ აქციაზე და აქციის დატოვებასაც ერთად აპირებდნენ.

კობა გოცირიძე – დროებით უმუშევარი, კონკრეტული ოპოზიციური პარტიის წევრი არ ყოფილა. 2007 წლიდან მონაწილეობდა აქციებში. კერძოდ: მონაწილეობდა იმედთან გამართულ აქციაში, ასევე, 2009 წელს ესწრებოდა ყველა აქციას, 2011 წლის 18 მაისიდან მონაწილეობას იღებდა ოპოზიციის მიერ გამართულ აქციებში.

რამაზ მეტრეველი – უპარტიო. დროებით უმუშევარი. 2009 წლიდან მონაწილეობდა აქციებში. ივა ჩილვინაძესთან ერთად, რეგიონებში ეწეოდა აგიტაციას, ასევე, ესწრებოდა 2011 წლის მაისში გამართულ აქციებს.

## ნარკოტიკული დანაშაული

### შესავალი

წინამდებარე თავში გაერთიანებულია კვლევის ფარგლებში შესწავლილი სამი საქმე, რომლებიც ნარკოტიკის შექმნისა და შენახვის ბრალდებას შეეხება.

თითოეული საქმის მასალების შესწავლისა და გაანალიზებისას, საქმეების მკვეთრი მსგავსება გამოვლინდა. კერძოდ, ოთხივე საქმეში გამოძიების დანყების, წარმართვისა და საქმის დასრულების თითქმის იდენტურობა გამოიკვეთა. მსგავსება იმდენად დიდია, რომ მოსალოდნელი ინდივიდუალური მახასიათებლები, რომლებიც, როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმეს ახასიათებს, ამ საქმეებში არა მხოლოდ თავად ფაქტობრივ გარემოებებს, არამედ წარმოების პროცესსაც კი არ ახასიათებს. მაგალითად, სისხლისსამართლებრივი დევნა თითქმის ყოველთვის ერთსა და იმავე საფუძვლით იწყება. მტკიცებულებების შეკრება ხდება ზუსტად ერთი თანმიმდევრობით. ამასთან, შეკრებილი მტკიცებულებები ყველგან ერთი და იგივე სახისაა და, არა მხოლოდ ხარისხობრივად, რაოდენობითაც თითქმის ერთხვევა ერთმანეთს (მაგალითად, მოწმეთა სახით მხოლოდ დამკავებლების დაკითხვა; ექსპერტიზის სახით მხოლოდ ნივთიერების შემცველობის დამდგენი, ანუ ქიმიური ექსპერტიზის ჩატარება). საქმეებს შორის მსგავსებებია სასამართლო განხილვის ეტაპზეც. ყველა განაჩენში მხოლოდ ერთი ფორმატით და მიმართულებით მსჯელობს მოსამართლე: იზიარებს მხოლოდ ბრალდების მხარის მტკიცებულებებს და დაუსაბუთებლად უარყოფს დაცვის მხარისას. არც ამ შემთხვევაში გვხვდება ის მოსალოდნელი ინდივიდუალობა, რომელიც განაჩენში მსჯელობას უნდა ახასიათებდეს. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია წარდგენილი ბრალდების კონკრეტულ ნაწილში არც ერთ შემთხვევაში არ არის დასაბუთებული.

წინამდებარე თავში გთავაზობთ თითოეული საქმის – შალვა იამანიძის, კაკო შუბითიძის და ზურა ხუციშვილის საქმეების – ანალიზს ცალ-ცალკე, ასევე, საერთო ტენდენციების მიმოხილვას. ტენდენციები მოცემულია საქმის წარმოების შედეგად გამოვლენილი პრობლემები და მოცემულია მათი მოკლე სამართლებრივი შეფასება.



## ტენდენციები

- **დევნის დაწყება პატაკის — არასრული ინფორმაციის საფუძველზე**

### ფაქტობრივი ვითარება

ყველა შესწავლილ საქმეში სისხლისსამართლებრივი დევნის – პირადი ჩხრეკისა და დაკავების საფუძველს – წარმოადგენს პოლიციელის მიერ ოპერატიულად მიღებული ინფორმაცია, რომ, სავარაუდოდ, კონკრეტულ პიროვნებას აქვს ნარკოტიკული საშუალება. ვინაიდან ინფორმაცია ოპერატიულადაა მოპოვებული, ინფორმაციის წყაროს გადამოწმების უფლება ამ საქმის ზედამხედველ პროკურორს არ აქვს.

### სამართლებრივი შეფასება

სსსკ-ის მიხედვით, პირადი ჩხრეკისა და დაკავების საფუძველს წარმოადგენს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს აქვს ნარკოტიკული საშუალება. ეს ნიშნავს იმას, რომ სახეზე უნდა იყოს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა ამ პირის მიერ ნარკოტიკის რეალურად ფლობაში.

მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელის მიერ წარდგენილი წერილობითი განცხადება, რომელიც გადაუმოწმებელ ინფორმაციას შეიცავს, ვერანაირად ვერ ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს. შესაბამისად, გამოვლინდა ტენდენცია, რომ პირის სისხლისსამართლებრივი დევნა არასრული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა.

- **პირადი ჩხრეკის დროს დამსწრეთა მონვევაზე უსაფუძვლოდ უარის თქმა — ჩხრეკის კანონდარღვევით ჩატარება**

### ფაქტობრივი ვითარება

არც ერთ საქმეში პირად ჩხრეკას არ ესწრებოდა დამსწრე. ამის ოფიციალურ მიზეზს, თავად ოქმის თანახმად, გარემოებების მიხედვით, წარმოადგენდა ან თავად ბრალდებულის უარი, ან მტკიცებულებათა მყისიერი განადგურების საფრთხე. თუმცა, საქმეთა შესწავლამ ცხადყო, რომ არც ერთ შემთხვევაში დამსწრეთა მონვევის გარეშე ჩხრეკის ჩატარების რეალური

საფუძველი – ბრალდებულის უარი, მტკიცებულების მყისიერი განადგურების საფრთხე – არ არსებობდა.

### სამართლებრივი შეფასება

სსსკ-ის მიხედვით, ჩხრეკის ჩატარების დროს დამსწრე მოიწვევა ჩხრეკის ჩატარების ფაქტის, მიმდინარეობის და შედეგების დასადასტურებლად. ჩხრეკის ჩამტარებელმა აუცილებლად უნდა გააცნოს დამსწრის მოწვევის უფლება ბრალდებულს. ეს უფლება მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში იზღუდება, კერძოდ მაშინ, როდესაც ადამიანის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ან მტკიცებულებას რეალური საფრთხე ექმნება.

საქმეებში არსებული გარემოებები არც ერთ ზემოაღნიშნულ საფრთხეს არ შეიცავს. შესაბამისად, გამოვლინდა ტენდენცია, რომ დამსწრის მოწვევაზე უსაფუძვლო უარის გამო, ჩხრეკის ჩატარება განხორციელდა კანონდარღვევით.

- **ყველა საქმეზე ანალოგიური მტკიცებულებები — გამამტყუნებელი განაჩენისთვის მტკიცების დაბალი სტანდარტი**

### ფაქტობრივი ვითარება

ყველა საქმეზე ბრალდების მტკიცებულებებს წარმოადგენს ბრალდებულის დამკავებელი პოლიციელების ჩვენებები, პირადი ჩხრეკისა და ამოღების ოქმი, ქიმიური ექსპერტიზა, რომელიც ნარკოტიკის შემცველობას ადგენს. კონკრეტულ პირს ნამდვილად ჰქონდა თუ არა შეძენილი ნარკოტიკი და ინახავდა თუ არა მას, მხოლოდ უშუალოდ დამკავებელი პოლიციელების ჩვენებებით და პირადი ჩხრეკისა და დაკავების ოქმებით დგინდება.

არც ერთ საქმეში წარდგენილი მტკიცებულებით არ დასტურდება არც პირის მიერ ნარკოტიკის შეძენის და არც ფლობის ფაქტი პოლიციის მისვლამდე. ის ფაქტი, რომ პირმა ნამდვილად შეიძინა ნარკოტიკი, არც ერთი მტკიცებულებით არ დგინდება. ის ფაქტი, რომ ამ პირისგან ამოღებული ნარკოტიკი პოლიციის მისვლამდე ნამდვილად მას ჰქონდა შენახული, არ დასტურდება.

### სამართლებრივი ვითარება

სსსკ-ის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის აუცილებელია დამაჯერებელი, აშკარა და ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ კონკრეტულმა ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული.

საქმეების ანალიზით, არც ერთ საქმეში გონივრულ ეჭვს მიღმა არ დადასტურდა, რომ კონკრეტულმა პირმა შეიძინა და ინახავდა ნარკოტიკულ ნივთიერებას.

- **დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ნარკოტიკის შეძენის ბრალდება — უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა**

### ფაქტობრივი გარემოება

ყველა საქმეზე პირს ბრალად წარდგენილი აქვს ნარკოტიკული საშუალების დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირებისგან შეძენა და შენახვა.

ის ფაქტი, რომ გამოძიებამ ვერ გამოავლინა ნარკოტიკის შეძენის, როგორც ცალკე აღებული დანაშაულის გარემოება, მითითებულია როგორც ბრალდების დადგენილებაში, ისე განაჩენში.

### სამართლებრივი შეფასება

სსსკ ადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციას, როგორც საქმისწარმოების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება, უნდა გადანყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მოცემულ საქმეებში არათუ ეჭვი არ არსებობს, არამედ სრულიად დაუდგენელია პირის მიერ ნარკოტიკის შეძენის ფაქტი. შესაბამისად, დარღვეულია უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი.

- **ნარკოტიკის აღმოჩენა ჯიბეში, წინდაში – გარკვეული ეჭვები მტკიცებულებათა მიმართ**

შესწავლილი საქმეებიდან ვლინდება, რომ ნარკოტიკის აღმოჩენა ხდება ჯიბესა ან წინდაში. ეს გარემოება თავისთავად არც ერთ სამართლებრივ დარღვევაზე არ მიუთითებს, მაგრამ შესაძლოა გაჩნდეს ეჭვი, რა მოტივით უნდა ინახავდეს დანაშაულის საგანს პირი ისეთ მარტივად მისაგნებ ადგილზე, როგორიცაა ჯიბე და წინდა.

იმ საქმეებშიც კი, სადაც პირს დაუდგინდა მცირეოდენი ნარკოტიკული საშუალების მოხმარება, გამოვლინდა პოლიციელთა მხრიდან მისთვის წყლის დაღვევინების ფაქტი. აღსანიშნავია, რომ ექსპერტების განმარტებით, წყლის დაღვევა, მასში გაზავებული ნარკოტიკული საშუალებით, საკმარისია იმისთვის, რომ პირი სულ რამდენიმე წუთში მოექცეს ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ.

### **შოთა იამანიძის სისხლის სამართლის საქმა**

შოთა იამანიძე იყო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის – „დაიცავი საქართველოს“ წევრი და ხშირად მონაწილეობდა ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ აქციებში.

2011 წლის 9 აგვისტოს შოთა იამანიძე თბილისის საქალაქო სამართლოს მიერ ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა, ხოლო სასჯელად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. სააპელაციო სასამართლომ 2011 წლის 11 ნოემბერს გასაჩივრებული განაჩენი დატოვა უცვლელად, ხოლო უზენაესმა სასამართლომ საჩივარი არ ცნო დასაშვებად.

### **კაკო შუბითიძის სისხლის სამართლის საქმა**

კაკო შუბითიძე მონაწილეობდა 2011 წლის 21-26 მაისს ოპოზიციური პარტიების მიერ გამართულ მიტინგებში. იგი 2011 წლის 26 ივნისს ადმინისტრაციული წესით დააკავეს მარნეულში, რუსთაველის ქუჩაზე მოძრაობისას, რასაც შემდგომ მისი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაც მოჰყვა.

ბოლნისის რაიონული სასამართლომ 2011 წლის 29 აგვისტოს განაჩენით, კაკო შუბითიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს

ველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა. სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. ასევე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მას 5 წლით ჩამოერთვა შემდეგი უფლებები: ა) სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება; ბ) საექიმო საქმიანობის უფლება; გ) საადვოკატო საქმიანობის უფლება; დ) პედაგოგიური და საგანმანათლებლო დანესებულებაში საქმიანობის უფლება; ე) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დანესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება; ვ) პასიური საარჩევნო უფლება; ზ) იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვის და ტარების უფლება.

პირველი ინსტანციის განაჩენი უცვლელი დატოვა სააპელაციო სასამართლომ, ხოლო უზენაესმა საჩივარი დასაშვებად არ ცნო.

### **ზურაბ ხუციშვილის სისხლის სამართლის საქმე**

ზურაბ ხუციშვილი 1992 წლიდან ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი იყო. ამასთან, ხუციშვილი იყო სახალხო კრების გულშემმატიკივარი და მონაწილე, თუმცა, მოგვიანებით ამ ყველაფერს ჩამოშორდა. მისი ძირითადი საქმიანობა იყო ჟურნალ „აი ია“-ს გამოცემა, რომლის ერთ-ერთი გამომცემელიც თავადაა. ჟურნალში ძირითადად იბეჭდება სტატიები რელიგიაზე, ქრისტიანობაზე, ეროვნულ-დამოუკიდებელი მოძრაობის ლიდერებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 24 ოქტომბრის განაჩენით ზურაბ ხუციშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილით — დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა, შენახვა, რისთვისაც მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით. განაჩენი გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც უცვლელი დატოვა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება.

### **ბახვა სტურუას სისხლის სამართლის საქმე**

ბახვა სტურუა აქტიურად იყო ჩართული 2011 წლის მაისში ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბახვა სტურუა დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის, რაც გულისხმობს დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შექენასა და შენახვას. სასჯელის ზომად შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით. სააპელაციო სასამართლომ დაცვის მხარის მიერ გასაჩივრებული განაჩენი უცვლელად დატოვა, ხოლო უზენაესმა საჩივარი დასაშვებად არ ცნო.

## **ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებული დანაშაული**

### **შესავალი**

კვლევის ფარგლებში ორი საქმე იქნა შესწავლილი, რომლებიც მხოლოდ ცეცხლსასროლი იარაღის ბრალდებას შეიცავს. მართალია, აღნიშნული ბრალდება გვხვდება ჩვენ მიერ შესწავლილ სხვა საქმეებშიც, თუმცა, იქ – სხვა დანაშაულებთან ერთობლიობაში. აღსანიშნავია, რომ ორივე საქმე განსხვავდება ერთმანეთისგან გამოძიების მსვლელობის მიხედვით, თუმცა, მტკიცების სტანდარტით ორივე მათგანი ერთმანეთის მსგავსია.

წინამდებარე თავში ზაზა კობახიძისა და ვასილ გოგალაძის სისხლის სამართლის საქმეები ცალ-ცალკეა განხილული. საქმეთა ანალიზს წინ უსწრებს გამოვლენილი პრობლემები და მოცემულია მათი მოკლე სამართლებრივი შეფასება.

### **ტენდენციები**

- **დევნის დანყება პატაკის — არასრული ინფორმაციის საფუძველზე**

#### **ფაქტობრივი ვითარება**

ერთ-ერთ საქმეში სისხლისსამართლებრივი დევნის – პირადი ჩხრეკისა და დაკავების საფუძველს წარმოადგენდა პოლიციელის მიერ მიღებული ინფორმაცია, რომ, სავარაუდოდ, კონკრეტულ პიროვნებას ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი. აღნიშნული ინფორმაცია, რომელიც ნერილობითი განცხადებით იწერება, ოპერატიულადაა მოპოვებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ინფორმაციის წყაროს გადამოწმების უფლება ამ საქმის ზედამხედველ პროკურორს არ აქვს.

### სამართლებრივი შეფასება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, პირადი ჩხრეკისა და დაკავების საფუძველს წარმოადგენს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირს აქვს ცეცხლსასროლი იარაღი. ეს ნიშნავს, რომ სახეზე უნდა იყოს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა ამ პირის მიერ იარაღის რეალურად ფლობაში.

მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელის მიერ წარდგენილი წერილობითი განცხადება, რომელიც გადაუმოწმებელ ინფორმაციას შეიცავს, ვერანაირად ვერ ქმნის დასაბუთებულ ვარაუდს. შესაბამისად, პირის სისხლისსამართლებრივი დევნა არასრული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა.

- **პირადი ჩხრეკა დამსწრეთა გარეშე — ჩხრეკის კანონდარღვევით ჩატარება**

### ფაქტობრივი ვითარება

არც ერთ საქმეში პირად ჩხრეკას არ ესწრებოდა დამსწრე. ამის ოფიციალურ მიზეზს, ოქმის თანახმად, წარმოადგენდა თავად ბრალდებულის უარი დამსწრის მონვევაზე, თუმცა, რეალურად, ბრალდებულს არ განუცხადებია უარი დამსწრეთა მონვევაზე.

### სამართლებრივი შეფასება

სსსკ-ის მიხედვით, ჩხრეკის ჩატარების დროს დამსწრე მოიწვევა ჩხრეკის ჩატარების ფაქტის, მიმდინარეობის და შედეგების დასადასტურებლად. ჩხრეკის ჩამტარებელმა აუცილებლად უნდა გააცნოს დამსწრის მონვევის უფლება ბრალდებულს.

არც ერთ საქმეში ბრალდებულს არ გააცნეს აღნიშნული უფლება და, შესაბამისად, არ მისცეს დამსწრის მონვევის შესაძლებლობა. აღნიშნული მიუთითებს, რომ დამსწრის მონვევის უსაფუძვლო შეზღუდვის გამო ჩხრეკის ჩატარება განხორციელდა კანონდარღვევით.

- **არასაკმარისი და ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებები — გამამტყუნებელი განაჩენისთვის მტკიცების დაბალი სტანდარტი**

**ფაქტობრივი ვითარება**

ორივე საქმეზე ბრალდების მტკიცებულებები ცალ-ცალკე ადებული და გამოძიების მიმდინარეობა ერთობლიობაში არადაამაჯერებელს ხდის პირის მიერ იარაღის უკანონო შეძენასა და შენახვას, ვინაიდან ბრალდების მტკიცებულებები ურთიერთგამომრიცხავია. ის ფაქტი, რომ ამოღებული იარაღი და საბრძოლო მასალა ნამდვილად ბრალდებულს ჰქონდა შენახული პოლიციის მისვლამდე, არ დგინდება. გამოძიებას არც ერთ საქმეში არ ჩაუტარებია დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა, რომელიც ბრალდებულის შემხებლობას დაადგენდა დანაშაულის საგანთან.

**სამართლებრივი ვითარება**

სსსკ-ის მიხედვით, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის აუცილებელია დამაჯერებელი, აშკარა და ერთმანეთთან შეთანხმებული მტკიცებულებების ერთობლიობა.

საქმეების ანალიზით არც ერთ საქმეში მტკიცებულებები არ არის დამაჯერებელი, აშკარა და ერთმანეთთან შეთანხმებული.

- **დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ცეცხლსასროლი იარაღის შეძენის ბრალდება — უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა**

**ფაქტობრივი გარემოება**

ერთ საქმეში პირს ბრალად წარდგენილი აქვს ცეცხლსასროლი იარაღის დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, დაუდგენელი პირისგან შეძენა და შენახვა.

ის ფაქტი, რომ გამოძიებამ ვერ გამოავლინა იარაღის შეძენის, როგორც ცალკე ადებული დანაშაულის გარემოება, მითითებულია როგორც ბრალდების დადგენილებაში, ისე განაჩენში.

**სამართლებრივი შეფასება**

სსსკ ადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციას, როგორც საქმის წარმოების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. ეს ნიშნავს, რომ



ყველა ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

მოცემულ საქმეებში არამც თუ ეჭვი არ არსებობს, არამედ სრულიად დაუდგენელია პირის მიერ იარაღის შექმნის ფაქტი. შესაბამისად, დარღვეულია უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი.

- **პოლიციის მიერ დანაშაულის წინაპირობების შექმნა — დანაშაულის პროვოკაციის ნიშნები**

ფაქტობრივი გარემოება

ერთ საქმეში პირის დაკავება მოხდა იმ ცეცხლსასროლი იარაღის ფლობისთვის, რომელიც კონტროლირებადი მიწოდებით პოლიციის ოპერატიულმა თანამშრომელმა თავის დროზე გადასცა ბრალდებულს. გადაცემული იარაღის ოფიციალური დარეგისტრირება, იარაღის შესახებ კანონის თანახმად, თავიდანვე შეუძლებელი იყო. შესაბამისად, პოლიციამ, დასარეგისტრირებლად უვარგისი იარაღის გადაცემით, თავადვე შექმნა დანაშაულის ჩადენის ვითარება.

სამართლებრივი შეფასება

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დანაშაულის ჩადენაში დაყოლიება წარმოადგენს დანაშაულის პროვოკაციას. ვინაიდან მოცემულ საქმეზე დასარეგისტრირებლად უვარგისი იარაღი გადასცა პოლიციამ ბრალდებულს და ამით მას მოუსპო შესაძლებლობა, დანაშაულისგან თავი აერიდებინა (კანონიერად დაერეგისტრირებინა იგი), ამით იგი დანაშაულის ჩადენაში დაიყოლია, რითაც განახორციელა დანაშაულის პროვოკაცია.

- **დაუსაბუთებლად შეფარდებული პატიმრობა — არაპროპორციული აღკვეთის ღონისძიება**

ფაქტობრივი ვითარება

საქმეში ერთ-ერთ ბრალდებულს შეეფარდა პატიმრობა მაშინ, როდესაც დასაბუთება მისი გამოყენების საჭიროების შესახებ არ არსებობდა.

### სამართლებრივი ვითარება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, აღკვეთის ღონისძიება და, მით უმეტეს, პატიმრობა მხოლოდ მისი გამოყენების მიზნის მისაღწევად შეიძლება შეეფარდოს ბრალდებულს. იგი უნდა იყოს დასაბუთებული, რაც ნიშნავს იმას, რომ გარემოებები უნდა მიუთითებდეს მისი შეფარდების აუცილებლობაზე. ვინაიდან მოცემულ საქმეში არ არსებობდა ასეთი საფუძველი, გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება იყო არაპროპორციული.

- **დაკავების ოქმის შედგენის წესის დარღვევა — უკანონო დაკავება**

### ფაქტობრივი ვითარება

ერთ საქმეში დაკავების ოქმი არ შედგა დაკავების ადგილზე, მიუხედავად იმისა, რომ ამის საპატიო მიზეზი არ არსებობდა.

### სამართლებრივი ვითარება

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, დაკავების ოქმი უნდა შედგეს დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ოქმის შედგენა ობიექტური მიზეზებით შეუძლებელია. ვინაიდან მოცემულ საქმეში არ არსებობდა ასეთი მიზეზი, დაკავება ვერ ჩაითვლება კანონიერად.

## **ზაზა კობახიძის სისხლის სამართლის საქმე**

ადვოკატის მიერ მოწოდებული და მედიაში გავრცელებული<sup>4</sup> ინფორმაციით, ზაზა კობახიძე არის პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელის, ბიძინა ივანიშვილის დიშვილის მეგობარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 8 თებერვლის განაჩენით, ზაზა კობახიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 236-ე მუხლის პირველი ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვა და ამავდროულად მისი მეორე ნაწილით – ცეცხლსასროლი იარაღის მართლ-

<sup>4</sup> <http://www.ghn.ge/news-54168.html>

საწინააღმდეგო ტარება. მას სასჯელის სახით 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის შეეფარდა 1 წლით, ხოლო მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საბოლოოდ ზ.კობახიძეს შეეფარდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. გასაჩივრებული განაჩენი სააპელაციო სასამართლომ უცვლელი დატოვა, ხოლო საკასაციო საჩივარი დაუშვებლად ცნო უზენაესმა სასამართლომ.

### **ვასილ გოგალაძის სისხლის სამართლის საქმე**

ვასილ გოგალაძე იყო „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის“ ბორჯომის რაიონული ორგანიზაციის წევრი. გოგალაძე ასევე მონაწილეობდა 2011 წლის მაისის თვის საპროტესტო აქციებში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 30 სექტემბერს გამოიტანა განაჩენი ვასილ გოგალაძის მიმართ. განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2011 წლის 28 ნოემბრის განაჩენით უცვლელი დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 8 თებერვლის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი.

### **ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული**

#### **შესავალი**

წინამდებარე თავი შეიცავს მხოლოდ ერთ დანაშაულს ჯანმრთელობის დაზიანების ბრალდებით, ზაზა სამხარაძის მიმართ. აღნიშნული საქმის ცალკე გამოტანა განაპირობა მისმა სპეციფიკურობამ, ვინაიდან იგი, ტიპობრივად, კვლევაში წარმოდგენილ საქმეთა არც ერთ კატეგორიას არ მიეკუთვნება არც საქმის ფაქტობრივი გარემოებებით და არც ბრალდების შინაარსით.<sup>5</sup> მოცემული კვლევის სისტემიზაცია კი, სწორედ ამ ორი კრიტერიუმით განისაზღვრა.

წინამდებარე თავში მოცემული საქმის ანალიზს წინ უსწრებს

<sup>5</sup> მძღოლების წინააღმდეგ არსებული ბრალდებები ჯანმრთელობის დაზიანების მუხლს შეიცავს, თუმცა, სხვა დანაშაულთან ერთობლიობის, ასევე მათ შორის საერთო ფაქტობრივი გარემოებების გამო, იმ საქმეთა ჯგუფისგან მოცემული საქმე თვისობრივად განსხვავდება.

გამოვლენილი პრობლემები და მათი მოკლე სამართლებრივი შეფასება.

### **გამოვლენილი პრობლემები და მათი სამართლებრივი შეფასება**

- **გამოძიების არასრული მოცულობით ჩატარება; არასაკმარისი მტკიცებულებები – გამამტყუნებელი განაჩენისთვის მტკიცების დაბალი სტანდარტი**

#### **ფაქტობრივი ვითარება**

საქმეში გამოძიება ჩატარდა არაგონივრულად შენელებული ტემპით, არ ჩატარდა სათანადო საგამოძიებო მოქმედებები და არც ერთი მტკიცებულება არ მიუთითებს იმაზე, რომ ჯანმრთელობის დაზიანება ბრალდებულმა პირმა მიაყენა დაზარალებულს. განაჩენი დაეყრდნო კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებას.

#### **სამართლებრივი შეფასება**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, გამოძიება უნდა მოიპოვოს ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი უნდა დაეყრდნოს დამაჯერებელ მტკიცებულებათა იმ სახის ერთობლიობას, რომლითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება პირის ბრალეულობა.

ვინაიდან საქმეში კანონის არც ერთი მოთხოვნა არ შეასრულა პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, არსებითად დაირღვა საპროცესო კანონი, რამაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია საქმის საბოლოო შედეგზე.

- **დაკავების ოქმის შედგენის წესის დარღვევა — უკანონო თავისუფლების შეზღუდვა**

#### **ფაქტობრივი ვითარება**

საქმეში დაკავების ოქმი შეადგინა პირმა, რომელსაც არ დაუკავებია ბრალდებული. გარდა ამისა, აღნიშნული ოქმი არასაპატიო მიზეზით არ შედგა დაკავების ადგილზე.

### სამართლებრივი შეფასება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაკავების ოქმი უნდა შედგეს ადგილზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს საპატიო მიზეზი. ასევე, ოქმი მოქმედებს სიზუსტით უნდა ასახავდეს.

ვინაიდან დამკავებელმა არ შეადგინა ოქმი, აღნიშნული დოკუმენტი მოქმედებს სიზუსტით ვერ ასახავს. გარდა ამისა, არ არსებობს საპატიო მიზეზი, თუ რატომ არ შედგა ოქმი ადგილზე. შესაბამისად, დაირღვა საპროცესო კანონმდებლობა დაკავების დროს.

- **დაცვის მხარის დაუსაბუთებელი შეზღუდვა საგამოძიებო ვადით — თანახმობის პრინციპის დარღვევა**

### ფაქტობრივი ვითარება

საქმეში დაცვის მხარეს სასამართლომ დაუსაბუთებლად შეუზღუდა საგამოძიებო ვადა, რომელიც მას ესაჭიროებოდა მტკიცებულებათა მოსაპოვებლად წინასასამართლო სხდომამდე და ამ საკითხის გადასაწყვეტად გაითვალისწინა მხოლოდ ბრალდების მხარის მოსაზრება.

### სამართლებრივი შეფასება

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაცვის და ბრალდების მხარე სარგებლობს თანაბარი შესაძლებლობებით მტკიცებულებათა მოპოვებისა და წარდგენისას. ვინაიდან, ამ შემთხვევაში, დაცვის მხარეს გამოძიების ვადა შეეზღუდა, ამით დაირღვა თანახმობის პრინციპი.

### **ზაზა სამხარაძის სისხლის სამართლის საქმე**

ზაზა სამხარაძე იყო „სახალხო კრების“ აქტივისტი და მონაწილეობას იღებდა არარეგისტრირებული კავშირის – „წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ მიერ 2011 წლის 21-26 მაისს გამართულ საპროტესტო აქციებში.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ზაზა სამხარაძე დამნაშავედ ცნო ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის, დანაშაული – გათვალისწინებული სისხლის სამართლის

კოდექსის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასჯელის სახედ სამხარაძეს განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით.

განაჩენი გასაჩივრდა სააპელაციო სასამართლოში, რომელმაც 2011 წლის 19 ოქტომბრის განაჩენით უცვლელი დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. უზენაესმა სასამართლომ საჩივარი არ ცნო დასაშვებად.

## 2. ნ. 26 მაისის ესკორტის საქმეები

### შესავალი

საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იმ პირთა დაკავებებმა, რომლებიც მაისის აქციის ორგანიზატორების ესკორტის ავტომანქანებს მართავდნენ აქციის დატოვებისას.

შეგახსენებთ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ესკორტის მიერ რუსთაველის ქუჩის დატოვებისას. 2011 წლის 25 მაისს პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო მანიფესტაცია ნებადართული იყო 24:00 საათამდე. აღნიშნული დროის გასვლის შემდეგ მონაწილეთა ნაწილმა ტერიტორიის დატოვება ავტომანქანით გადაწყვიტა, რის შედეგადაც წინო ბურჯანაძის ავტომანქანათა კოლონამ დაიწყო ნელი სვლით გადაადგილება რუსთაველის გამზირიდან თავისუფლების მოედნის მიმართულებით. ამ პერიოდში რუსთაველის გამზირზე ჯერ კიდევ იმყოფებოდა უამრავი ადამიანი, მათ შორის, პოლიციელები.

ვიდეო მასალებში ჩანს, რომ გზის სავალი ნაწილი მეტრო თავისუფლების მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე მთლიანად აქვს დაკავებული პოლიციას. ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, ავტომობილებს არ აძლევს მითითებას შეჩერების თაობაზე, ხოლო მეორე მხრივ, აქციის ტერიტორიის დატოვების თაობაზე ბრძანების მიუხედავად, არ ხსნის დერეფანს, რომელიც ავტომანქანებსა და აქციის მონაწილეებს გასვლის შესაძლებლობას მისცემდა. ვიდეოში ჩანს, რომ ავტოკოლონაში შემავალი ერთ-ერთი ავტომანქანა დაწინაურდა და შეეცადა პოლიციის კორდონის გარღვევას. აღნიშნულ ავტომანქანას პოლიცია მყისიერად უხსნის გასასვლელს. პირველ ავტომანქანას უკან მიჰყვებიან სხვა ავტომანქანები. მანქანების გადაადგილების პროცესში ჩანს პოლიციელების მიერ მათი მიმართულებით ხელჯოხების დარტყმა და სროლა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა 7 პირი. ამათგან, ყველა ბრალდებულთან, გარდა ზურაშვილისა, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ დაკავებულ პირთა ბრალდება ძირითადად იდენტურია. ყველა მათგანს ბრალი ედება პოლიციის მუშაკთა მიმართ წინააღმდეგობის განევაში.<sup>6</sup> დამატებით, ზოგიერთ მათგანს ბრალი ედება ასევე სსკ-ით გათვალისწინებულ შემდეგ დანაშაულებრივ ქმედებებში: ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება;<sup>7</sup> ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება;<sup>8</sup> სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია;<sup>9</sup> ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით;<sup>10</sup> ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რომელმაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა.<sup>11</sup>

ბრალდების სამართლებრივი ფორმულირება ურთიერთწინააღმდეგობრივია: მითითებულია, რომ მანიფესტაცია იყო უკანონო და მონაწილეთა მიერ ტერიტორიის დატოვების მიზნით პოლიციამ შექმნა კორდონი. ამის პარალელურად ნათქვამია, რომ ესკორტის მძღოლები არ დაემორჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოთხოვნას, შეჩერებულიყვნენ. სასამართლოს განაჩენიც ამავე ურთიერთგამომრიცხავ ფორმულირებას ეყრდნობა.

აღსანიშნავია, რომ ამ პირთაგან რამდენიმე პასუხისგებაში მიეცა ასევე სხვა დანაშაულებისთვის, რომლებიც არ უკავშირდება ამ თავში წარმოდგენილ სისხლის სამართლის საქმეებს. ეს საქმეები ცალკე გამოვყავით და გავაერთიანეთ პოლიციის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.

მიუხედავად ჩვენი სურვილისა, შეგვესწავლა ყველა პირის საქმე, მხოლოდ სამმა დაკავებულმა გამოთქვა თანხმობა და, შესაბამისად, მათი საქმეები იქნა შესწავლილი. წინამდებარე თავში წარმოდგენილია მხოლოდ ავთანდილ მერებაშვილის, შაქრია ზურაშვილისა და ივანე ჩილვინაძის საქმეთა ანალიზი. აღნიშ-

<sup>6</sup> სსკ-353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

<sup>7</sup> 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>8</sup> 120-ე მუხლი.

<sup>9</sup> 125-ე მუხლი.

<sup>10</sup> სსკ-ის 118-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩადენილი 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გამორეშობის არსებობისას.

<sup>11</sup> 117-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

ნული საქმეები, ისევე როგორც სრულად შესწავლილი საქმეები, ცალკე თავებადაა გამოყოფილი. მათ წინ უძღვის ანალიზის შედეგად გამოვლენილი პრობლემები და მათი მოკლე სამართლებრივი შეფასება.

### **გამოვლენილი პრობლემები და მათი სამართლებრივი შეფასება**

- *ქმედების არასწორი კვალიფიკაცია — ერთი ქმედებისთვის ორჯერ პასუხისმგებლობა*

#### **ფაქტობრივი ვითარება**

ყველა შესწავლილ საქმეში, გარემოება, სადაც ადგილი აქვს პოლიციელისთვის ავტომანქანის შეჯახებას, დაკვალიფიცირებულია არა მხოლოდ ჯანმრთელობის შესაბამისი ხარისხის დაზიანებად (ნაკლებად მძიმე — 118-ე მუხლი და მძიმე ხარისხის — 117-ე მუხლი) პირის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით, არამედ, ასევე, პოლიციელის მიმართ წინააღმდეგობის განევადაც. შესაბამისად, სახეზეა ერთი ქმედებისთვის ორჯერ პასუხისმგებლობა.

#### **სამართლებრივი შეფასება**

კონსტიტუციით დადგენილია ერთი ქმედების გამო ორჯერ პასუხისმგებლობის აკრძალვა, რაც, ასევე, განმტკიცებულია სისხლის სამართლის კოდექსით, რომლის თანახმადაც, ნორმათა კონკურენციის შემთხვევაში, გამოიყენება სპეციალური ნორმა ქმედების კვალიფიკაციისას. პოლიციის წინააღმდეგობისთვის სპეციალურ ნორმას წარმოადგენს ჯანმრთელობის შესაბამისი ხარისხით დაზიანება მაკვალიფიცირებელი გარემოებით (ჩადენილი სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით), ზოგად ნორმას კი — პოლიციის წინააღმდეგობა. ვინაიდან მოცემულ საქმეში ორივე ნორმა იქნა გამოყენებული, დაირღვა ორჯერ პასუხისმგებლობის აკრძალვის პრინციპი.



- **მტკიცების არასაკმარისი სტანდარტი — ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებები**

**ფაქტობრივი ვითარება**

საქმეთა უმრავლესობაში ძირითად მტკიცებულებებს წარმოადგენს მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც გამოძიების სტადიაზე სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს. არაერთი საქმის გარემოებების ოფიციალური ვერსია წინააღმდეგობაში მოდის საქმის მიღმა მოძიებულ მასალებთან (იგულისხმება მედიაში გავრცელებული ვიდეო მასალა, ასევე, თავად მწარმოებელი ორგანოს მიერ გაკეთებული ოფიციალური განცხადებები). ასევე, რიგ საქმეებში თავად ბრალის დადგენილების ტექსტი ურთიერთგამომრიცხავ შინაარსს შეიცავს, რომელიც მოსამართლის მიერ განაჩენში უცვლელადაა გადმოტანილი საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს. ყოველივე ეს კი, ერთობლიობაში, ამ მტკიცებულებათა მიმართ მნიშვნელოვან ეჭვებს აჩენს.

**სამართლებრივი შეფასება**

სსსკ-ის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ეყრდნობოდეს დამაჯერებელ და ურთიერთშეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, ამ შემთხვევაში, მტკიცებულებები დამაჯერებლობას მოკლებული და ურთიერთგამომრიცხავია, შესაბამისად, არ არის დაცული მტკიცების სტანდარტი.

- **პირის დაკავების უკანონობა — ფიზიკური ძალადობა და თავისუფლების უკანონო აღკვეთა**

ერთ-ერთ საქმეში გამოვლინდა პირის მიმართ ფიზიკური ძალადობის აშკარა ნიშნები, რომლებიც მას მიადგა დაკავების პროცესში. ვლინდება, რომ აღნიშნული ძალადობა მას მიაყენეს პოლიციელებმა. გარდა ამისა, ასევე გამოვლინდა დაკავების მეტი ხანგრძლივობა, ვიდრე ოფიციალურადაა მითითებული დაკავების ოქმში.

**სამართლებრივი შეფასება**

კონსტიტუციით, ისევე როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, აკრძალულია პირის მიმართ რაიმე სახის იძულება სისხლის სამართალწარმოების დროს და იგი

წარმოადგენს არასათანადო მოპყრობას (წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას). კონსტიტუციით, ასევე სსსკ-ით, მკაცრად არის განსაზღვრული პირის დაკავების ვადა. ვადის გადამეტება კი თავისუფლების უკანონო აღკვეთას ნიშნავს. ვინაიდან ამ შემთხვევაში ორივეს ჰქონდა ადგილი, დაირღვა როგორც ძალადობის აკრძალვის, ისე პირის თავისუფლებაში ყოფნის პრინციპი.

- **უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა — ოფიციალური განცხადებით პირის დამნაშავედ მოხსენიება**

ფაქტობრივი ვითარება

ერთ-ერთ საქმეში საქმის მწარმოებელმა ორგანომ ოფიციალურ საჯარო განცხადებაში დამნაშავეს კონტექსტში მოიხსენია პირი, რომლის მიმართაც გამოძიება ახალი დაწყებული იყო.

სამართლებრივი შეფასება

კონსტიტუციით, ისევე როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, მკაცრად არის აკრძალული პირის დამნაშავეობის შესახებ განცხადების გაკეთება, სანამ გამამტყუნებელი განაჩენი კანონიერ ძალაში არ შევა. ამ შემთხვევაში, ვინაიდან გამამტყუნებელი განაჩენი სახეზე არ იყო, დაირღვა უდანაშაულობის პრეზუმფცია.

### **ამირან მერაბაშვილის სისხლის სამართლის საქმე**

2011 წლის 28 ივლისს ა.მერაბაშვილთან, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი: 120-ე მუხლის პირველი ნაწილით – ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება, რამაც მისი ხანმოკლე მოშლა გამოიწვია; 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით – ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჩადენილი მსხვერპლის სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით; 125-ე მუხლი – სხვაგვარი ძალადობა, რასაც არ მოჰყოლია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება; 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით – პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა ძალადობით, ჯგუფურად.

სასჯელის სახედ და ზომად მერებაშვილს 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით; 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით — 3 წლის ვადით; 125-ე მუხლის პირველი ნაწილით — ჯარიმა 1000 ლარი; 120-ე მუხლით — 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და, საბოლოოდ, ა.მერებაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, საიდანაც 4 წელი განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთის დანესებულებაში მოხდით, ხოლო 5 წელი — პირობითად, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმის გადახდა 1000 ლარის ოდენობით.

### **შაქრია ზურაშვილის სისხლის სამართლის საქმე**

შაქრია ზურაშვილი 2007 წლიდან მუშაობდა საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტში ნინო ბურჯანაძის მეუღლესთან, ბადრი ბინაძესთან, პირად მძღოლად. 2011 წლის მაისში შ.ზურაშვილი მონაწილეობდა ქ.თბილისში, მოძრაობა „სახალხო კრების“ მიერ ორგანიზებულ აქციაში;

2011 წლის 17 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ შაქრია ზურაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში — *ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით და ამავე კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში — პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის და მისი შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით.* სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სასჯელის სახედ განესაზღვრა 6 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ამავე კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის — 5 წლის და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და, საბოლოოდ, შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 12 წლის ვადით. პირველი ინსტანციის განაჩენი უცვლელი დატოვა სააპელაციო სასამართლომ, ხოლო უზენაესმა საჩივარი დასაშვებად არ ცნო.

## **ივანე ჩიღვინაძის სისხლის სამართლის საქმე**

ივანე ჩიღვინაძე მონაწილეობდა 25-26 მაისს გამართულ აქციებში. იგი არის ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერის და პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ახლობელი. ი.ჩიღვინაძე დახმარებას უწევდა ბურჯანაძეს პროპაგანდულ საქმიანობაში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 25 აგვისტოს, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანა განაჩენი ივანე ჩიღვინაძის მიმართ. იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) 118-ე მუხლის მე-3 ნაწილით – ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, ჩადენილი 117-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოების არსებობისას (მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით) და ამავე კოდექსის 353-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში – პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხელშეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტისა და შეცვლის მიზნით, ჩადენილი ძალადობით, ჯგუფურად. ი.ჩიღვინაძეს მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 4 წელი ჩაეთვალა პირობითად, 5 წლის გამოსაცდელი ვადით.

## თავი II

### პრობლემები და რეკომენდაციები

#### შესავალი

წინამდებარე კვლევის მიზანია არა მხოლოდ ინდივიდუალური საქმეების შესწავლა, არამედ, მათ კონტექსტში, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არსებული ტენდენციების და პრობლემების გამოვლენა. კვლევის შედეგად კიდევ ერთხელ ნათელი გახდა, რომ პრობლემები მომდინარეობს როგორც პრაქტიკიდან – კონკრეტული საქმეების დროს საქმის მწარმოებელი პირის მიერ დაშვებული შეცდომებიდან, ისე კანონიდან – ხარვეზიანი ნორმებიდან, რაც კიდევ უფრო უწყობს ხელს მართლმსაჯულების გამრუდებას. წინამდებარე ანალიზი ასევე საინტერესოა ძველი და ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შედარების თვალსაზრისითაც. კერძოდ, გაუმჯობესდა თუ არა საკანონმდებლო გარემო მას შემდეგ, რაც 2010 წელს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ამოქმედდა; გამოასწორა თუ არა მან ის ხარვეზები, რომლებიც ძველი კოდექსის მოქმედების პერიოდში არსებობდა.

მიუხედავად იმისა, რომ კვლევის თითოეულ თავს წინ უსწრებს შესაბამისი პრობლემებისა და ტენდენციების მიმოხილვა, გადაწყვიტეთ, ყველა ტიპის საკანონმდებლო თუ პრაქტიკაში არსებული პრობლემები გაგვეერთიანებინა ზოგადი სურათის საჩვენებლად. მოცემულ თავში ცალ-ცალკეა წარმოდგენილი პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემები და მათი აღმოფხვრისთვის საჭირო რეკომენდაციები და კანონში არსებული ხარვეზები და მათი აღმოფხვრისთვის საჭირო რეკომენდაციები.

#### პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემები და შესაბამისი რეკომენდაციები

- *იძულებითი საგამოძიებო მოქმედების (პირადი ჩხრეკა და დაკავება) ჩატარების საფუძველი*

თითქმის ყველა შესწავლილ საქმეში, სადაც დაკავებას პირადი ჩხრეკა დაედო საფუძვლად, წინ უსწრებს მხოლოდ პატაკი, პოლიციელის წერილობითი განცხადება, სადაც ის იტყობინება, რომ მას კონფიდენციალურად მიაწოდეს ინფორმაცია პირის მიერ შესაბამისი დანაშაულის ჩადენის შესახებ. ასეთი სახით მოწოდებული ინფორმაციის წყარო ანონიმურია და, კანონმდებლობით,

არ ექვემდებარება გადამოწმებას.<sup>12</sup>

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (სსსკ) თანახმად, პირადი ჩხრეკის სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენს დასაბუთებული ვარაუდი.<sup>13</sup> აღნიშნული განიმარტება, როგორც ფაქტების და ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც ამ შემთხვევაში ობიექტურ პირს დაარწმუნებს ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობაში.<sup>14</sup> ნათელია, რომ მხოლოდ და მხოლოდ პატაკის არსებობა დასაბუთებულ ვარაუდად ვერ ჩაითვლება.

მაგალითად, საქმეებში, სადაც პოლიციელი პატაკით იტყობინება პირის მიერ ნარკოტიკული საშუალების ფლობას, მხოლოდ ამის საფუძველზე ხდება ამ პირის პირადი ჩხრეკა და შემდეგ, შესაბამისად, დაკავება. რეალურად კი, აუცილებელია მონობეული ინფორმაციის გადამოწმება პოლიციის ხელთ არსებული რესურსების მიხედვით, მაგალითად, პირთა გამოკითხვით.

**პოლიციის პატაკი გამყარებულ უნდა იქნეს სხვა ინფორმაციით, რათა შესაძლებელი იყოს ობიექტური პირის დარწმუნება მისი ჩატარების აუცილებლობაში.**

- **ფუნქციათა განაწილება სავამოძიებო ორგანოებსა და ფინანსური აუდიტის სამსახურს შორის**

ერთ-ერთ საქმეში (მერაბ კაჭახიძის მიმართ) გამოვლინდა ფუნქციათა არასწორი გადანაწილება, რაც გამოიხატა იმაში, რომ ფინანსური აუდიტის სამსახურის მიმართ კანონით ექსკლუზიურად დაკისრებული უფლებამოსილება განახორციელა პოლიციის ორგანომ. უფლებამოსილებათა აღრევა სასამართლომ კანონის დარღვევად არ შეაფასა, რითაც საფრთხე შეექმნა შემდგომში კანონის სწორ გამოყენებას, ანუ უფლებამოსილებათა კანონიერ, იმავდროულად, გონივრულ გადანაწილებას.

საქმე ის არის, რომ პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობა და მათი ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „პოლიტიკური გაერთიანებების

<sup>12</sup> ოპერატიულ-სამძებრო დონისძიების შესახებ კანონის თანახმად, ასეთ ინფორმაციას პოლიციას აწვდის კონფიდენტი, რომლის ვინაობაც გასაიდუმლოებულია.

<sup>13</sup> სსსკ-ის 119-ე მუხლი.

<sup>14</sup> სსსკ-ის მე-3 მუხლი.

შესახებ“. ამავე კანონით მკაფიოდ არის განსაზღვრული,<sup>15</sup> რომ პარტიის ფინანსურ საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობაზე მონიტორინგს ახორციელებს აუდიტის სამსახური. შესაბამისად, მასვე აქვს მინიჭებული კონკრეტული მოქმედებების განხორციელების უფლება.<sup>16</sup> სამართალდამცავი ორგანოების რეაგირება, ამ შემთხვევაში კი – გამოძიება, მხოლოდ მაშინ იწყება, როდესაც აუდიტის სამსახური შემონმებისას აღმოაჩენს დანაშაულის ნიშნებს: ორგანული კანონის<sup>17</sup> თანახმად, დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, იგი მიმართავს პროკურატურის ორგანოებს.<sup>18</sup>

მ.კაჭახიძის სისხლის სამართლის საქმე პოლიტიკური პარტიის საქმიანობიდან მომდინარეობდა. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება შსს-ს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა დაიწყო და რიგი საგამოძიებო მოქმედებები განახორციელა აუდიტის სამსახურის წინასწარი შემონმების გარეშე. ყოველივე ეს კი მიუთითებს, რომ შსს-ს ორგანომ განახორციელა ის უფლებამოსილება, რომელიც კანონით მინიჭებული ჰქონდა აუდიტის სამსახურს.

**კანონით გამიჯნული უფლებამოსილებები პრაქტიკულადაც გადანაწილდეს შესაბამის ორგანოებს შორის, რათა არ მოხდეს კომპეტენციათა აღრევა.**

- **ალკვეთის ღონისძიების პროპორციულობა**

შესწავლილი საქმეების უმრავლესობამ კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახადა ის გარემოება, რომ ალკვეთის ღონისძიების შეფარდების დროს სრულიად არ არის დაცული კანონის მოთხოვნები.

სსსკ-ის თანახმად, ალკვეთის ღონისძიება მხოლოდ ვინროდ განსაზღვრული მიზნების მისაღწევად გამოიყენება: უზრუნ-

<sup>15</sup> ორგანული კანონის 34<sup>1</sup>-ე მუხლი.

<sup>16</sup> იხ. ორგანული კანონის 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

<sup>17</sup> 34<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვე-პუნქტი.

<sup>18</sup> ერთი შეხედვით, შესაძლოა ფუნქციათა აღნიშნული დაყოფა ხელოვნურად და, ზოგიერთ შემთხვევაში, არაგონივრულად წაითვალოს, თუმცა, ასეთი დაყოფა ამ შემთხვევაში გამართლებულია, ვინაიდან ვიწროდ განსაზღვრული სპეციფიკური საკითხების შესწავლა, როგორცაა ფინანსური საქმიანობა, მხოლოდ საამისოდ სპეციალიზებული ორგანოს კომპეტენციას უნდა წარმოადგენდეს. ასეთად კანონი ადგენს აუდიტის სამსახურს.

ველყოფილ იქნეს ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადება, განაჩენის აღსრულება, ალიკვეთოს ბრალდებულის შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა.<sup>19</sup> პროკურორმა ალკვეთის ღონისძიების მოთხოვნისას უნდა დაასაბუთოს ორი საკითხი: 1. კონკრეტული ალკვეთის ღონისძიების გამოყენების საჭიროება, რომელსაც ის ითხოვს; 2. სხვა ნაკლებად მკაცრი ალკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობა.<sup>20</sup> მოსამართლე გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა დაეყრდნოს იმ დროს არსებულ ისეთ ინდივიდუალურ გარემოებებს, როგორიცაა ბრალდებულის პიროვნება, მისი საქმიანობა, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ადრე შეფარდებული რომელიმე ალკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი, ასევე სხვა გარემოებებს, რომლებიც ამკარად გავლენას ახდენს ალკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე.<sup>21</sup>

გვხვდება საქმეები, სადაც ბრალდებულს შეფარდებული აქვს პატიმრობა და მისი გამოყენების მიზანშეწონილობა სრულიად დაუსაბუთებელია. ც.ანანიძის, გ.სალუქვაძის, ზ.კობახიძის საქმეები სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს. ამ საქმეებში პროკურორმა მხოლოდ და მხოლოდ მიუთითა, რომ პირი მიიმალეობდა, არ გამოცხადდებოდა სასამართლოში და გაანადგურებდა მტკიცებულებებს. მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი კონკრეტული გარემოებით არ ყოფილა გამყარებული დასახელებული ვარაუდები, მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა დააკმაყოფილა. ბრალდებულთა ინდივიდუალური გარემოებები, როგორიცაა ასაკი (მაგ. სალუქვაძის შემთხვევაში), პირის წარსული (არც ერთი დასახელებული პირი არ იყო ნასამართლევ), საქმიანობა (მაგ. ც.ანანიძე იმ პერიოდისათვის იყო სტუდენტი), სრულიად გაუთვალისწინებელი დარჩა მოსამართლის მხრიდან. უფრო მეტიც, ანანიძისთვის ალკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ გადაწყვეტილებაში ანანიძის ნაცვლად სხვა პირის სახელი და გვარი იყო მითითებული. აღნიშნული კი ცხადყოფს ნიმუშის გამოყენებას.

არც ერთ შემთხვევაში ბრალდების მხარეს ალკვეთის ღონისძიების მოთხოვნისას არ უმსჯელია სხვა ნაკლებად მკაცრი ალკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეუწონლობაზე.

<sup>19</sup> სსსკ-ის 198-ე მუხლი.

<sup>20</sup> სსსკ-ის 198-ე მუხლი.

<sup>21</sup> სსსკ-ის 198-ე მუხლი.



დაუსაბუთებელი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მახინჯი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, რომ, ერთი მხრივ – პროკურორი და, მეორე მხრივ – მოსამართლე აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის და შეფარდებისას დაეყრდნონ ბრალდებულისა და საქმისთვის დამახასიათებელ ინდივიდუალურ გარემოებებს.

- **აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვა**

აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით გამოვლინდა შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის პრობლემაც საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე.

სსსკ ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადასინჯვას საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, მათ შორის, არსებითი განხილვისას.<sup>22</sup> აღნიშნული, გარდა საპროცესო კოდექსისა, ასევე გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტიდან, რომ პირს უნდა ჰქონდეს უფლება, დროის გონივრულ ინტერვალში გადაიხედოს მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა.

მუხაშავრიასა და სხვათა მიმართ, ისევე როგორც კაჭახიძის საქმეში, საქმის არსებითი განხილვის სტადიაზე, მოსამართლემ უარი განაცხადა შეფარდებული პატიმრობის შეცვლის შესახებ შუამდგომლობის განხილვაზე იმ მოტივით, რომ ამ ეტაპზე ამგვარი შუამდგომლობის განხილვას საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. მოსამართლემ ნამდვილად უგულებელყო ზემოთ აღნიშნული კონკრეტული ნორმა, რომელიც ამის საფუძველს იძლევა, შესაბამისად, მან კანონი არასწორად და, ამასთან, ბრალდებულის ინტერესის სანიხალმდეგოდ განმარტა. აქვე აღსანიშნავია, რომ კაჭახიძის საქმეში მოსამართლემ მომდევნო სხდომაზე არათუ განიხილა იგივე შუამდგომლობა, არამედ დააკმაყოფილა იგი. ამ გადაწყვეტილებით, ერთი მხრივ, კიდევ ერთხელ დადასტურდა მის მიერ მანამდე მიღებული გადაწყვეტილების მცდარობა, რომ მან შესაბამისი ნორმა უგულებელყო, ხოლო მეორე მხრივ — გამოვლინდა მისი არაერთგვაროვანი მიდგომა ნორმის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი საქმეებიდან მხოლოდ ორში გამოვლინდა აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის პრობლემა, აღნიშნული არ გამორიცხავს მსგავსი მიდგომის

<sup>22</sup> სსსკ-ის 260-ე მუხლი.

ზოგადად არსებობას. შესაბამისად, გამოკვეთილ პრობლემას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

**ალკვეთის ღონისძიების შესახებ გადანყვეტილების ნებისმიერ სტადიაზე გადასინჯვის შესაძლებლობა მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს კანონში არსებული ნორმის შესაბამისად.**

- **განრიდება**

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ახალ ინსტიტუტს, განრიდებას, რომელიც ნიშნავს სისხლის სამართალწარმოებიდან ბრალდებულის ან იმ პირის განრიდებას, რომლის წინააღმდეგაც შეკრებილია მტკიცებულებები. ასეთ შემთხვევაში, წყდება სისხლისსამართლებრივი დევნა. შესწავლილი საქმეებიდან ერთ-ერთი (კაჭახიძის მიმართ) დასრულდა განრიდებით, რა დროსაც მისი მიზანშეწონილობის ბუნდოვანება გამოვლინდა. ვინაიდან განრიდების მექანიზმი ახალი ინსტიტუტია სისხლის სამართალწარმოებისთვის, ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას. კვლევის ამ ნაწილში საქმეს შედარებით უფრო დეტალურად მიმოვიხილავთ, რათა ნათელი იყოს მიზანშეწონილობის ბუნდოვანება, რომელიც განრიდების გადანყვეტილებას დაედო საფუძვლად.

განრიდების შესახებ გადანყვეტილება მიიღება დისკრეციის საფუძველზე.<sup>23</sup> კერძოდ, პროკურორი განრიდების გამოყენებისას ხელმძღვანელობს სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპებით.<sup>24</sup> აღნიშნული პრინციპები ადგენს ორ ალტერნატიულ კრიტერიუმს, რომელიც პროკურორის დისკრეციას განსაზღვრავს – მტკიცებულებითი ტესტი და საჯარო ინტერესი.<sup>25</sup> ეს უკანასკნელი განმარტებულია სხვადასხვა ფაქტორის ჩამონათვალით, რომელიც უნდა გაითვალისწინოს პროკურორმა: სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტები; დანაშაულის ბუნება და სიმძიმე; სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა; პირის ბრალეულობის ხარისხი; პირის კრიმინალური წარსული; გამოძიებასთან თანამშრომლო-

<sup>23</sup> სსსკ, 168-ე მუხლი.

<sup>24</sup> სსსკ, 168-ე მუხლი.

<sup>25</sup> იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 8 ოქტომბრის №181 ბრძანება სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპების ზოგადი ნაწილის დამტკიცების შესახებ. გვ.6.

ბის სურვილი; პიროვნული მახასიათებლები; მოსალოდნელი სასჯელი მსჯავრდების შემთხვევაში ან სხვა შედეგები. პროკურორმა უნდა გააანალიზოს, არის თუ არა საჯარო ინტერესში დევნის დაწყება და დევნა არ უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც დევნის საწინააღმდეგო საჯარო ინტერესი აშკარად გადაწონის პირის დასჯის ინტერესს.<sup>26</sup>

პროკურატურამ საქმის არსებითი განხილვის ეტაპამდე არ ჩათვალა, რომ პირის დასჯის ინტერესს გადაწონდა დევნის საწინააღმდეგო საჯარო ინტერესი. უფრო მეტიც, მან საჯარო ინტერესი იმდენად მკვეთრად დაინახა, რომ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებად უმკაცრესი სახე – დაპატიმრება მოითხოვა (ბრალდებულს თავდაპირველად დაპატიმრება შეეფარდა). მან მხოლოდ არსებითი განხილვის სტადიაზე მიიჩინია, რომ დევნა აღარ იყო მიზანშეწონილი, რა დროსაც ბრალდებული უკვე გამარჯვებული საარჩევნო ბლოკის პროპორციული სისტემით არჩეული წარმომადგენელი იყო.

ზემოაღნიშნული შეცვლილი გარემოების ფონზე მიღებულმა განრიდების გადაწყვეტილებამ გამოავლინა გამოძიების ორგანოს მიდგომათა ურთიერთწინააღმდეგობა: მ.კაჭახიძეს ბრალი ედებოდა ამომრჩევლის მოსყიდვაში. თუკი დავუშვებთ, რომ რელიურად ჩაიდინა მან ბრალად წარდგენილი დანაშაული და, ამის პარალელურად, მაინც გაიმარჯვა იმ საარჩევნო ბლოკმა, რომლის კოალიციაშიც მისი პარტია შედიოდა (ვის სასარგებლოდაც მან დანაშაული ჩაიდინა), ეს გარემოება არათუ ამცირებს, არამედ კიდევ უფრო ზრდის ამ პირის მიმართ დევნის საჯარო ინტერესს. ბრალდების მხარემ თავის დადგენილებაში არ დაასაბუთა, რატომ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მ.კაჭახიძის მიმართ განრიდება გამოეყენებინა.

**განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორმა დაასაბუთოს განრიდების მიზანშეწონილობა იმის მიხედვით, თუ რომელ კრიტერიუმს ეყრდნობა – მტკიცებულებით ტესტს თუ საჯარო ინტერესს – და რაში გამოიხატება იგი.**

- *მხარეთა თანასწორობა*

მხარეთა თანასწორობის პრობლემა შესწავლილ საქმეებში გამოვლინდა როგორც პრაქტიკული, ისე ნორმატიული თვალსაზ-

---

<sup>26</sup> იქვე გვ.7.

რისით. აქ შევეხებით პრაქტიკულ ხარვეზს, ხოლო ნორმატიულს ქვემოთ მოცემული თავი ეხება.

გარემოებათა ერთობლიობა ამკარად მიუთითებდა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე, ჯარმელაშვილისა და სხვათა მიმართ, დაცვის მხარეს ბრალდების მხარემ შეგნებულად დაუშალა და არ გადასცა ბრალდებულთა ჩვენების ამსახველი ვიდეო მასალა. ბრალდების მხარემ მიუთითა, რომ მას ასეთი მასალა არ გააჩნდა. საქმე ის არის, რომ აღნიშნული ვიდეო მასალა, როგორც დაცვის მხარე იტყობინებოდა, ტელევიზიებით გავრცელდა თავად საქმის მწარმოებელი ორგანოს მიერ და, შესაბამისად, მას აუცილებლად უნდა ჰქონოდა. სხვა საქმეში დაცვის მხარემ იმავე მოტივით ვერ მოიპოვა მისთვის საინტერესო ინფორმაცია. შსს-ს შესაბამისმა დეპარტამენტმა მას უარი განუცხადა ქუჩაში დამონტაჟებული ვიდეოთვალით დაფიქსირებული ვიდეო მასალის გადაცემაზე იმ მოტივით, რომ აღნიშნული მასალა მასთან აღარ ინახებოდა. რეალურად, ეს მასალა იმ პერიოდისთვის მას უნდა ჰქონოდა.<sup>27</sup>

საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხარეთა მიერ მათ ხელ არსებული მასალების ურთიერთგაცვლის სავალდებულოობას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მხარეთა როგორც თანასწორობა, ასევე შეჯიბრებითობა.<sup>28</sup> აღნიშნულს ამყარებს საერთაშორისო სტანდარტი. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ „მხარეთა თანასწორობის პრინციპი ვალდებულებას აკისრებს ბრალდების მხარეს და გამოძიების ორგანოებს, გადასცენ ნებისმიერი ის მასალა დაცვის მხარეს, რომელსაც ისინი ფლობენ, ან რომელიც მათ შეეძლოთ მოეპოვებინათ, თუ ის შეიძლება დაეხმაროს ბრალდებულს გათავისუფლებას ან სასჯელის შემცირებაში.“<sup>29</sup>

**მხარეთა თანასწორობის პრაქტიკული უზრუნველყოფისთვის, საქმის მწარმოებელმა მხარემ, ასევე სახელმწიფოს შესაბამისმა დანესებულებამ, სავალდებულო წესით უნდა**

<sup>27</sup> საქმე ის არის, რომ აღნიშნული ვიდეოთვალით ხდება სამართალდარღვევების დაფიქსირება. სწორედ ამ მასალას ეყრდნობა შსს, როდესაც პირს აჯარიმებს და შემდგომში, ერთი თვის ვადაში, ჯარიმის შესახებ საჩივარი იხილება სასამართლოში. ე.ი. მიხილუმ, ერთი თვით მას ეს მასალა გააჩნია. ადვოკატმა კი, ვიდეო მასალა მოითხოვა ერთი კვირაში.

<sup>28</sup> სსსკ, 83-ე მუხლი.

<sup>29</sup> The right to a fair trial. A guide to the implementation of Article 6 of the European Convention on Human Rights. Nuala Mole and Catharina Harby. Human Rights Handbooks, No.3 p.47

ითანამშრომლოს მხარესთან მტკიცებულების მიწოდების მიზნით.

- **მტკიცების სტანდარტი**

შესწავლილ საქმეებზე გამოტანილი თითქმის ყველა განაჩენი ეყრდნობა მტკიცებულებებს, რომლებიც არ არის საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

სსსკ ითვალისწინებს მტკიცების შესაბამის სტანდარტს განაჩენის გამოტანის სტადიაზე. თავის მხრივ, განაჩენის მტკიცების სტანდარტი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სრულდება – არსებითი განხილვის შედეგად თუ მის გარეშე, საპროცესო შეთანხმებით. კერძოდ, არსებითი განხილვის შედეგად გამოტანილი განაჩენისთვის აუცილებელია პირის მიერ დანაშაულის ჩადენის დადასტურება გონივრულ ეჭვს მიღმა,<sup>30</sup> მაშინ როცა არსებითი განხილვის გარეშე საკმარისია დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ ამ პირმა ჩაიდინა დანაშაული.<sup>31</sup>

ზემოაღნიშნულ ორივე შემთხვევაში (არსებითი განხილვის შედეგადაც და მის გარეშეც) აუცილებელია, რომ წარდგენილი მტკიცებულებები იყოს დამაჯერებელი.<sup>32</sup> გარდა ამისა, არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისას კანონმდებლობა პირდაპირ მიუთითებს, რომ მტკიცებულება უნდა იყოს უტყუარი.<sup>33</sup>

ჩვენ მიერ შესწავლილ საქმეებში მტკიცების დაბალი სტანდარტი ვლინდება შემდეგში: 1. შეკრებილი მტკიცებულებები არ არის საკმარისი საიმისოდ, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურდეს პირის მიერ დანაშაულის ჩადენა და 2. შეკრებილი მტკიცებულებები არ არის უტყუარი.

1. თითქმის ყველა საქმეში, სადაც არსებითი განხილვის შედეგად იქნა გამოტანილი განაჩენი, გამოძიების მიერ შეკრებილი მტკიცებულებები არ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტს. თითქმის ყოველ საქმეში სახეზეა გარემოებები, რომლებიც, როგორც წესი, საჭიროებს შესწავლასა და დამტკიცებას, მაგრამ გამოძიების მიერ საიმისოდ არც ერთი შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება არ ჩატარებულა.

<sup>30</sup> სსსკ, 3-ე მუხლი.

<sup>31</sup> სსსკ, 211-ე მუხლი.

<sup>32</sup> სსსკ, 13-ე მუხლი.

<sup>33</sup> სსსკ, 213-ე მუხლი.

მტკიცების დაბალი სტანდარტი, პრაქტიკულად, სხვადასხვანაირად ვლინდება დანაშაულთა კატეგორიის მიხედვით.

მაგალითად, ნარკოტიკული და იარაღის შენახვასთან დაკავშირებული დანაშაულების შემთხვევაში, სადავო გარემოებას წარმოადგენს, აღმოჩენილი ნივთი ეკუთვნის თუ არა ბრალდებულს. კუთვნილების დასადგენად, მით უმეტეს, როდესაც ამოღებული ნივთიერება პოლიეთილენის პარკშია შეფუთული, ან იარაღის შემთხვევაში – იგი გლუვ ზედაპირიანია (ასეთი ზედაპირი მასზე არსებული კვალის დადგენის საშუალებას იძლევა), გამოძიებას შეუძლია მიიღოს გარკვეული ზომები: ჩხრეკის დროს დანაშაულის საგანს შეეხოს შესაბამისი ხელთათმანით (თითის ანაბეჭდების კვალის შესანარჩუნებლად) და ამოღებულს ჩაუტაროს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზა. თითის ანაბეჭდი, უტყუარად თუ არა, სავარაუდოდ მაინც დაადგენს საგნის კუთვნილებას. ეს კი, თავის მხრივ, მტკიცების სტანდარტს უფრო აამაღლებს.

პოლიციის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების დროს, სადავო გარემოება, ნამდვილად გაუწია თუ არა ამ პირმა პოლიციას წინააღმდეგობა — პოლიციელს ქურთუკი დაკავებულმა პირმა შემოახია თუ არა.<sup>34</sup> ამის გასარკვევად, შესაბამისი ქიმიური ექსპერტიზით შესაძლოა დადგინდეს ბრალდებულის შემხებლობა ნივთთან (მაგ. ქიმიური ნაწილაკების ექსპერტიზით). არც ერთ შემთხვევაში, ასეთი ან სხვა ექსპერტიზა არ არის ჩატარებული. ბრალდების მხარეს კი, მხოლოდ დაზიანებული პერანგი საკმარის მტკიცებულებად მიაჩნია.

2. თითქმის ყველა საქმეში, სადაც არსებითი განხილვის გარეშე დადგა განაჩენი, წარმოდგენილი მტკიცებულებები არ არის უტყუარი. გარემოებათა ერთობლიობით და თავად შინაარსით მტკიცებულებები ურთიერთგამომრიცხავია.

მაგალითად, საქმეებში, სადაც ერთდროულად რამდენიმე პირი მიეცა პასუხისგებაში (ყინწვისში ჩატარებული სპეციალური ოპერაციის შედეგად დაკავებული რამდენიმე პირი, 26 მაისის საპროტესტო მანიფესტაციის შემდგომ დაკავებული პირები, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობისთვის დაკავებული პირები), თითქმის ყველას მიმართ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. განაჩენი დაეყრდნო აღიარებით ჩვენებებს. აღიარების პერიოდში ამ პირთა მიმართ ძალადობის კვალი ვი-

<sup>34</sup> თითქმის ყველა საქმეში წინააღმდეგობა ქურთუკის შემოხვეით გამოიხატება.

ზუალურადაც კი შეიმჩნეოდა. ეს თავისთავად მიუთითებს, რომ მათი აღიარებითი ჩვენება უტყუარად ვერ ჩაითვლება.

მტკიცებულებების უტყუარობის პრობლემა ნათლად ჩანს ასევე გამოძიების დროს პოლიციელების მიერ მიცემულ ჩვენებებში, რომლებიც იდენტური სიტყვათა წყობითაა წარმოდგენილი. მაგალითად, მერებაშვილის მიმართ არსებულ საქმეში მოწმეთა ჩვენებები მხოლოდ ცალკეული სიტყვის ცვლილებით განსხვავდება (ერთ შემთხვევაში მითითებულია „თბილისში“, მეორე შემთხვევაში — „ქ.თბილისში“; წინადადებები ერთ შემთხვევაში დაკავშირებულია „და“ კავშირით, ხოლო, მეორე შემთხვევაში — „სადაც“ ადგილის გარემოებით).

პრობლემა, რომელიც ჩვენებების იდენტობაში გამოიხატება, დგას საპროცესო შეთანხმების დადების დროს, სადაც იმავე ჩვენებათა ავტორების სასამართლო პროცესზე დაკითხვა არ მომხდარა.

ყოველივე ზემოაღნიშნული პრობლემის უპირველესი მიზეზი კი არის მოსამართლის მიერ ამგვარი მტკიცებულებების არა-ჯეროვანი შეფასება — უტყუარ მტკიცებულებად მიჩნევა.

**მტკიცების დაბალი სტანდარტის პრაქტიკის შესაცვლელად აუცილებელია, რომ გამოძიება ჩატარდეს ყოველი სადავო გარემოების დასადგენად და, გარდა ამისა, თავად მოპოვებული მტკიცებულებები იყოს უტყუარი.**

- **ყველა ეჭვი ბრალდებულის სასარგებლოდ – In Dubio Pro Reo**

შესწავლილი საქმეები, რომლებიც ეხება ნარკოტიკულ დანაშაულს და ცეცხლსასროლ იარაღს (მათ შექენასა და შენახვას), ავლენს არსებით ხარვეზს, რომელიც პირის მიმართ უსაფუძვლო მსჯავრდებაში ვლინდება. კერძოდ, განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობა ხდება დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ნარკოტიკული საშუალების/ცეცხლსასროლი იარაღის შექენისთვის.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ადგენს ფუნდამენტურ პრინციპს ბრალდებულის დასაცავად — ყველა ეჭვი, რომელიც არ დასტურდება, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.<sup>35</sup> ასევე, პირის მიმართ წარდგენილი ბრალდება, თითოეული ცალ-ცალკე, უნდა დადგინდეს გონივრულ ეჭვს მიღ-

<sup>35</sup> სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლი.

მა.<sup>36</sup> ჩვენ მიერ შესწავლილ საქმეებში (შ.იამანიძე, კ.შუბითიძე, ზ.ხუციშვილი, ზ.კობახიძე) პირთა მსჯავრდება მოხდა დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ნარკოტიკის/ცეცხლსასროლი იარაღის შეძენისთვის. ე.ი. გამოძიებამ ვერ დაადგინა დანაშაულის საგნის შეძენის ფაქტი. პირის მფლობელობაში ნივთის გადასვლა ყველა შემთხვევაში შეძენას არ გულისხმობს. შეძენისთვის აუცილებელია, რომ პირს შეეძლოს სარგებლობა, მფლობელობა და განკარგვა. ამის გამოსავლენად აუცილებელია: 1. დროის და 2. ვითარების დადგენა.

1. დროის დადგენა იმდენად არის აუცილებელი, რამდენადაც მას პირდაპირი გავლენა აქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ხანდაზმულობაზე.<sup>37</sup> თუ შეძენიდან გასულია ათი წელი ან მეტი, სისხლის სამართლის კოდექსით, ის დანაშაულად არ ითვლება, რადგან მისთვის პასუხისმგებლობა უკვე ხანდაზმულია.

2. ვითარების დადგენა აუცილებელია იმდენად, რამდენადაც მასზე დამოკიდებული, სახეზე არის თუ არა შეძენა (სისხლისსამართლებრივი გაგებით). კერძოდ, ნებისმიერი გზით პირის ხელში ნივთის გადასვლა არ ნიშნავს შეძენას, რადგან ამისთვის აუცილებელია, რომ პირს ამ ნივთზე ჰქონდეს სრული უფლება (ფლობის, სარგებლობის და განკარგვის). თუ, მაგალითად, პირს დროებით შესანახად დაუტოვეს ესა თუ ის ნივთი, რა თქმა უნდა, ეს ნივთი შეძენილად არ ჩაითვლება, არამედ – მხოლოდ შენახვად.

ზემოაღნიშნულ საქმეებში გამოძიება და სასამართლოც ვარაუდობს, რომ პირის მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგანი მასთან აღმოჩნდა ხანდაზმულობის ვადის გასვლამდე და მასზე სრული უფლებებით. ეს კი ნიშნავს, რომ ვარაუდი ბრალდებულის საწინააღმდეგოდ არის გამოყენებული, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება, ერთი მხრივ, საპროცესო კანონმდებლობით განმტკიცებულ ფუნდამენტურ პრინციპს და, მეორე მხრივ, ბრალდებულის მიმართ გარანტირებულ უფლებებს.

**ნარკოტიკულ საშუალებებსა და ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებულ საქმეებზე გამოძიებით აუცილებლად დადგინდეს შეძენის დრო და ვითარება. წინააღმდეგ შემთხვევაში, არ მოხდეს პირის მსჯავრდება შეძენისთვის.**

<sup>36</sup> სსსკ, მე-13 მუხლი.

<sup>37</sup> სისხლის სამართლის კოდექსი, 71-ე მუხლი.



• **ერთი ქმედების ორმაგი კვალიფიკაცია – Ne Bis In Idem**

საქმეთა შესწავლამ გამოავლინა პრობლემა პრაქტიკაში მატერიალური კუთხითაც. ერთი ქმედების ორმაგი კვალიფიკაცია გამოვლინდა ორ საქმეში. უფრო კონკრეტულად, ერთი ქმედება, რომელიც მხოლოდ სპეციალური მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს, დაკვალიფიცირებულია ასევე ზოგადი მუხლითაც. აღნიშნული პრობლემა ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ძირითად პრინციპს — აკრძალულია ერთი ქმედების ორმაგი კვალიფიკაცია. აღნიშნული პირდაპირ აზიანებს მსჯავრდებულის კანონიერ ინტერესს, პასუხი აგოს პროპორციულად მხოლოდ იმ ქმედებისთვის, რაც მან ჩაიდინა.

საქმეში ჯარმელაშვილი და სხვები უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობის ბრალდებით, სასამართლომ პირები ასევე დამნაშავედ ცნო ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის უკანონოდ შექმნისა და შენახვისათვის. უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა სხვადასხვა სახით, მათ შორის, იარაღის ან საბრძოლო მასალის შექმნა-შენახვით შეიძლება გამოიხატოს კონკრეტული პირის მიერ. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისად, ეს ქმედება, ცალკე აღებული, არ შეიძლება სხვა მუხლით (ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა, შენახვა — 236-ე მუხლი) დაკვალიფიცირდეს, რადგან განზრახვისა და მიზნიდან გამომდინარე, მას მთლიანად მოიცავს უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობის მუხლი (223-ე მუხლი).

ანალოგიური პრობლემა გამოვლინდა საქმეებში, სადაც პირთა მსჯავრდება მოხდა ჯანმრთელობის დაზიანებისა და პოლიციის მიმართ წინააღმდეგობის განწევისთვის. ესენია მერებაშვილის, ჩილვინაძის და ზურაშვილის საქმეები. აღნიშნული პირები მონაწილეობდნენ 26 მაისს გამართულ საპროტესტო მანიფესტაციაში. ჯანმრთელობის დაზიანება დამამძიმებელ გარემოებაში — მსხვერპლის სამსახურებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით უკვე მოიცავს პოლიციისთვის წინააღმდეგობის განწევას. ეს კონკრეტული მუხლი პოლიციის წინააღმდეგობის მუხლთან მიმართებით ამ საქმეებში სპეციალურ მუხლს წარმოადგენს. შესაბამისად, ქმედების კვალიფიკაცია უნდა მომხდარიყო მხოლოდ სპეციალური მუხლით.

**ქმედება, რომელიც შეესაბამება სპეციალური და ზოგადი მუხლის დისპოზიციას, დაკვალიფიცირდეს მხოლოდ ერთი, სპეციალური მუხლით, რათა არ დაირღვეს სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპი — ერთი ქმედების ორმაგი კვალიფიკაციის აკრძალვა.**

## კანონმდებლობაში გამოვლენილი პრობლემები და შესაბამისი რეკომენდაციები

### • მხარეთა თანასწორობა

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მხარეთა სრული თანასწორობის პრინციპზეა აგებული. ეს პრინციპი გულისხმობს ბრალდების და დაცვის მხარის თანაბარ უფლებამოსილებას, მოიპოვოს მტკიცებულება და წარადგინოს სასამართლოში.<sup>38</sup> თანასწორობის პრინციპის ფონზე, დაცვის მხარის სასარგებლო მტკიცებულების მოპოვება მხოლოდ და მხოლოდ მისი პრეროგატივაა. ბრალდების მხარე სრულიად თავისუფალია ამ ტვირთისგან. ეს მიდგომა უკვე გულისხმობს იმას, რომ დაცვის მხარე უნდა აღიჭურვოს იმ შესაძლებლობებით, რითაც ბრალდების მხარე სარგებლობს. თუ ასეთი უფლებამოსილება კანონით არ არის გარანტირებული, მაშინ თავად კანონიდან მომდინარეობს ამ პრინციპის დარღვევა.

ჩვენ შემთხვევაში, თავად კანონიდან მომდინარეობს თანასწორობის პრინციპის დარღვევა და ეს გამოიხატება არაერთი მიმართულებით: 1. დაცვის მხარეს არ აქვს უფლება, ამოღების ჩატარების შესახებ შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს; 2. დაცვის მხარეს არ აქვს უფლება, სავალდებულო წესით მოწმე გამოიძახოს და დაკითხოს სასამართლოში.

ჩვენ მიერ განხილულ საქმეებში, აღნიშნული საკანონმდებლო პრობლემის ფონზე, დაცვის მხარეს შეექმნა პრობლემა როგორც ამოღების, ისე მოწმის დაკითხვის შემთხვევაში.

1. როდესაც დოკუმენტი ან საგანი, რომელსაც გამამართლებელი მტკიცებულების მნიშვნელობა აქვს და რომლის გადაცემაზეც დაცვის მხარეს უარს ეუბნება ესა თუ ის დანესებულება, დაცვას რჩება ერთადერთი გამოსავალი, მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ამ საგნის წარმოდგენასთან დაკავშირებით. სასამართლო კი, ამ შემთხვევაში, უარს ამბობს ამ სახის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ის თავისი ბუნებით წარმოადგენს ამოღებას, რის შესახებ შუამდგომლობის დაყენების უფლება დაცვის მხარეს საპროცესო კანონმდებლობით არ გააჩნია.

იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი დოკუმენტი/ჩანაწერი/მასალა ბრალდებულის უდანაშაულობის დამადასტურებელი

<sup>38</sup> სსსკ, მე-9 მუხლი.

ერთადერთი ან ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება შეიძლება იყოს, დაცვას ერთმევა შესაძლებლობა, ეფექტურად განახორციელოს დაცვის უფლება და იმოქმედოს ბრალდებასთან თანაბარ პირობებში. ეს კი არღვევს მხარეთა თანასწორობის პრინციპს.

**თანასწორობის პრინციპის სრულყოფილი უზრუნველყოფისთვის კანონმა სასამართლოს უნდა მისცეს უფლებამოსილება, ამოღების შესახებ შუამდგომლობა განიხილოს, ხოლო დაკმაყოფილების შემთხვევაში, მისი ჩატარება დაავალოს იმ გამომძიებელს, რომელსაც შემხებლობა არ ექნება მოცემულ საქმესთან.**

2. მაშინ, როდესაც ბრალდების მხარეს აქვს უფლებამოსილება, თავისთვის საინტერესო მონმე გამოიძახოს და დაკითხოს სასამართლოში ამ პირის სურვილის მიუხედავად, დაცვის მხარე სწორედ მისი სურვილითაა შეზღუდული.

დღევანდელი კანონმდებლობით, გამომძიებლის ეტაპზე მას შეუძლია გამოკითხოს მონმე. მონმის გამოკითხვა მონმის ნებასურვილზეა დამოკიდებული. წინასასამართლო სხდომაზე კი, მოსამართლე მონმის სახით დასაკითხ პირთა სიაში შეყვანის აუცილებელ წინაპირობად მოითხოვს ზემოაღნიშნულ გამოკითხვას, რათა დაადგინოს მისი რელევანტურობა და შემხებლობა საქმესთან. თუ დაცვას არ აქვს წარმოდგენილი გამოკითხვის ოქმი იქიდან გამომდინარე, რომ მონმემ მას უარი განუცხადა გამოკითხვაზე, დაცვას ამ მონმის სასამართლოში გამოძახების მექანიზმი აღარ რჩება. ეს კი ცალსახად არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს დაცვის მხარეს, რადგან მას კანონი ართმევს მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას ბრალდებასთან თანაბარ პირობებში.

**იმისათვის, რომ დაცვის მხარემ ბრალდებასთან თანაბარ პირობებში გამოიძახოს და დაკითხოს მონმე, აუცილებელია, მოქმედ საპროცესო კოდექსში დროულად გაუქმდეს გარდამავალი დებულება, რომელიც მანამდე მოქმედი რედაქციით მონმის დაკითხვას ჯერჯერობით ისევ ძალაში ტოვებს.**

- ***ჩხრეკისა და ამოღების დროს სასამართლოსთვის მიმართვის უფლების შეზღუდვა***

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამომძიებლის დროს ითვალისწინებს ისეთ საგამომძიებო მოქმედებებსაც, რომელსაც

ინდივიდის უფლების შემზღვეველი ხასიათი გააჩნია. ასეთ საგამოძიებო მოქმედებათა შორისაა ჩხრეკა და ამოღება. სსსკ-ის თანახმად, ჩხრეკისა და ამოღების სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს, ერთ შემთხვევაში, პირის პირად ცხოვრებაში ჩაურევლობის უფლების, ხოლო მეორე შემთხვევაში — მისი საკუთრების უფლების შეზღუდვა, გაჩხრეკილი ან ამოღებულ ობიექტის მიხედვით.<sup>39</sup>

როდესაც კანონი განსაზღვრავს საჯარო ინტერესის — დანაშაულთან ბრძოლის სასარგებლოდ ინდივიდის უფლების შემზღვევად ღონისძიებას, ამასთანავე ადგენს გარკვეულ გარანტიებს, რათა შეზღუდვა იყოს პროპორციული და ლეგიტიმური. ამ გარანტიათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია გასაჩივრების უფლების მინიჭება იმ პირისათვის, ვის მიმართაც ჩატარდა აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები. ასეთი პირი კი, თავის მხრივ, შესაძლოა იყოს ბრალდებული ან პირი, რომელსაც არ აქვს ბრალდებულის სტატუსი.

ჩვენ მიერ შესწავლილ ერთ-ერთ საქმეში საგამოძიებო ორგანომ გაჩხრეკა და ავტოსამრეცხაოდან ამოიღო ავტომანქანა მესაკუთრისთვის შეტყობინების გარეშე. მესაკუთრე არ წარმოადგენდა პროცესის მხარეს, რადგან არ იყო საქმეზე ბრალდებული. საპროცესო კანონმდებლობით კი, აღმოჩნდა, რომ მას არ ჰქონდა უფლება, მიემართა სასამართლოსთვის მისი კუთვნილი ავტომანქანის მიმართ განხორციელებული ქმედებების კანონიერების შესამოწმებლად.<sup>40</sup> ამ შემთხვევაში, ნათლად გამოვლინდა საკანონმდებლო ხარვეზი: პირის უფლების შეზღუდვა მისი კანონიერების შესამოწმებლად არ ითვალისწინებს რაიმე სახის გარანტიას.

**იმისათვის, რომ უფლების შეზღუდვის პირობებში დაცული იყოს გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფს შეზღუდვის პროპორციულობას და ლეგიტიმურობას, აუცილებელია, პირს, რომელსაც არ აქვს ბრალდებულის სტატუსი, მიენიჭოს ამოღების და ჩხრეკის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება.**

<sup>39</sup> სსსკ, 112-ე, 207-ე მუხლები.

<sup>40</sup> სსსკ, 112-ე, 119-ე, 207-ე მუხლები.

- **მოსამართლის როლი არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლაში**

თავისუფლებამეზღვეული პირის მიმართ არასათანადო მოპყრობის აკრძალვას მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ერთი შეხედვით განსაკუთრებულ როლს უთმობს, თუმცა, მასთან ეფექტური ბრძოლის მიზნით, პრაქტიკამ მოსამართლის როლის გაზრდის საჭიროება გამოკვეთა.

საპროცესო კოდექსი, ბრალდებულის პირველი წარდგენისა და საპროცესო შეთანხმების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას, მოსამართლეს განსაკუთრებით ავალდებულებს, გაარკვიოს ბრალდებულისგან, დაექვემდებარა თუ არა იგი რაიმე სახის ძალადობას, არასათანადო მოპყრობას.<sup>41</sup> ამასთან, დადებითი პასუხის შემთხვევაში, როდესაც ბრალდებული თავად აცხადებს ამის შესახებ, ან შეგნებულად იკავებს თავს გაცხადებისგან, თუმცა, მასზე არსებული კვალი აშკარად მიუთითებს ასეთის არსებობაზე, მოსამართლის როლი სრულიად დაკნინებულია. კანონის თანახმად, მას არ შეუძლია რაიმე სახის ზომას მიმართოს.

ჩვენ მიერ შესწავლილ საქმეებში გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც ბრალდებული თავად მიუთითებდა პოლიციელების მიერ განხორციელებული ძალადობის ფაქტებზე, რაზეც მოსამართლეს რაიმე შემხვედრი რეაქცია არ ჰქონია. უფრო მეტი, მან შეანყვეტინა საუბარი ბრალდებულს იმ მოტივით, რომ მის უფლებამოსილებას სცდებოდა ამ საკითხზე რაიმე სახის რეაგირება.

**მოსამართლის როლი არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლაში მხოლოდ ფორმალური შეკითხვის დასმით არ უნდა შემოიფარგლოს. მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი უფლებამოსილება, სავალდებულო წესით მოსთხოვოს ამ ფაქტზე გამოძიების წარმოება შესაბამის ორგანოს.**

- **ნორმატიული ხარვეზი – დანაშაულის შემადგენლობის არაგონივრულად ფართო მასშტაბი**

მ.კაჭახიძის საქმის ანალიზმა ცხადყო, რომ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული – ამომრჩევლის მოსყიდვა – ხარვეზიანია, ის არაგონივრულად ფართო ქმედებებს მოიცავს. ეს კი თავად ნორმის მიზანს — ამომრჩევლის მოსყიდ-

<sup>41</sup> სსსკ, 197-ე, 212-ე მუხლები.

ვის არსს სცდება და იმ ქმედებათა კრიმინალიზაციას იწვევს, რომელთა სისხლისსამართლებრივი დასჯაც არ წარმოადგენს საჯარო ინტერესს.

ამომრჩევლის მოსყიდვა სისხლის სამართლის კოდექსში არსებული რედაქციით ალტერნატიული დანაშაულია, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი არაერთი ქმედებით შეიძლება გამოიხატოს, მათ შორის, კანონით დადგენილი შეზღუდვებისათვის თავის არიდების მიზნით ... თვალთმაქცური გარიგების დადებით.<sup>42</sup> ნორმის ეს უკანასკნელი ნაწილი იმდენად ფართოა, რომ ნებისმიერი კანონის გვერდის ავლით განხორციელებული ქმედება, რომელიც ნორმის მიზანთან – ამომრჩევლის მოსყიდვასთან – არანაირ კავშირში არ არის, შეიძლება ჩაითვალოს ამომრჩევლის მოსყიდვად. მაგალითად, პარტიის ადმინისტრაციული მიზნებისთვის განხორციელებული თვალთმაქცური გარიგება, რომელსაც კავშირი არ აქვს ამომრჩევლის ნების გამოხატვასთან, არსებული რედაქციის თანახმად, ამომრჩევლის მოსყიდვას ნიშნავს.

საგულისხმოა, რომ ამომრჩევლის მოსყიდვას, როგორც დანაშაულს, სხვა ქვეყნების კანონმდებლობაც იცნობს, თუმცა, ასეთი ფართო და ნორმის მიზანთან სრულიად დაშორებული ფორმულირება ამ ქვეყნების კანონმდებლობაში არ გვხვდება. მაგალითად, გერმანიის, შვედეთის, ესტონეთის, უნგრეთის, ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსები დანაშაულად მიიჩნევენ ამომრჩევლის მოსყიდვას არა ნებისმიერი, არამედ ამომრჩევლის საარჩევნო ხმის კონკრეტული სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ მიმართვის მიზნით.<sup>43</sup>

**სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის – ამომრჩევლის მოსყიდვის – არაგონივრულად ფართო შინაარსის დისპოზიცია დავინროვდეს იმგვარად, რომ ნათლად წარმოაჩინოს ნორმის მიზანი.**

<sup>42</sup> მკითხველისთვის უფრო თვალნათელი რომ გახდეს, დანაშაულის დისპოზიცია ასეთია: „საარჩევნო მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფულის, ფასიანი ქაღალდის (მათ შორის, ფინანსური ინსტრუმენტის), სხვა ქონების, ქონებრივი უფლებების, მომსახურების ან სხვა რაიმე უპირატესობის შეთავაზება, დაპირება, გადაცემა ან გაწევა, ან წინასწარი შეცნობით ასეთის მიღება, ანდა კანონით დადგენილი შეზღუდვებისათვის თავის არიდების მიზნით მოჩვენებითი, თვალთმაქცური ან სხვა გარიგების დადება“.

<sup>43</sup> German Criminal Code, Section 108b; Sweden Criminal Code Section 8; Estonia Penal Code par. 164; Latvia Criminal Law, Section 90; Act IV of 1978 on the Criminal Code of Hungary Section 211;

## **ძველი და ახალი საპროცესო კანონმდებლობის შედეგები**

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შეცვლის მიზეზი იყო საქმის წარმოების გაუმჯობესება, ბრალდებულის უფლებათა რეალური გარანტირება.

ანალიზმა ცხადყო, რომ ახალ საპროცესო კანონმდებლობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სასიკეთოდ არსებითად არაფერი შეუცვლია:

- კვლავაც რჩება ის პრობლემები, რაც მანამდე არსებობდა. უფრო მეტიც, მან გარკვეულწილად ხელი შეუწყო ბრალდებულის უფლებების დარღვევას, რაც გამოიხატება მის მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის კიდევ უფრო გამართივებით და დაცვის უფლებამოსილებების კიდევ უფრო შეკვეცით.
- როგორც მანამდე, ახლაც პირის პირადი ჩხრეკა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ პოლიციელის პატაკის საფუძველზე. ამასთან, ჩხრეკის საფუძველი ძველი საპროცესო კოდექსით უფრო დაკონკრეტებული იყო: მტკიცებულებათა ერთობლიობას ადგენდა სავალდებულო წინაპირობად, რაც მწარმოებელ პირს შედარებით მკაცრ ჩარჩოებში აქცევდა ჩხრეკის ჩატარებამდე კონკრეტული ზომების მისაღებად. ახალი საპროცესო კოდექსი წინაპირობად მხოლოდ ფაქტის და ინფორმაციის ერთობლიობას ითვალისწინებს, რაც საქმის მწარმოებელი პირისთვის, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, უფრო მეტი თვითნებობის საფუძველს ქმნის.
- კვლავ რჩება ის პრობლემები, რომლებიც ადრე არსებობდა: არაპროპორციული და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ.
- გამოძიება მიმდინარეობს ისევე ერთგვაროვნად და მშრალად, როგორც მანამდე მიმდინარეობდა.
- ადრინდელისგან განსხვავებით, ამჟამად გამოძიებას ვალდებულებაც კი აღარ აქვს, მოიპოვოს დაცვის სასარგებლო მტკიცებულებები, ხოლო დაცვას არა აქვს ამის სრული შესაძლებლობა.
- ახალმა საპროცესო კოდექსმა შემოიტანა ბრალდებულის ინტერესებისთვის სასარგებლო ახალი ინსტიტუტი განრიდების სახით, თუმცა, კვლევის ფარგლებში

დაფიქსირებული პრეცედენტი ამ ინსტიტუტის გამოყენების ბუნდოვანებას ავლენს, რაც, თავის მხრივ, მისი თვითნებური და კანონის მიზნისგან განსხვავებული გამოყენების საფრთხეს ქმნის.

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საზოგადოებრივი მოლოდინის მიუხედავად, არ შეცვლილა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არსებული ვითარება.

## **დასკვნა**

საქმეთა ანალიზმა აჩვენა პრობლემები როგორც პრაქტიკაში, ასევე კანონმდებლობაში. ეს პრობლემები, საბოლოოდ, ბრალდებულის უფლებების შეზღუდვას იწვევს და საჭიროებს გამოსწორებას. აუცილებელია, რომ პრაქტიკაში ზუსტად შესრულდეს მხარეთა თანასწორობის პრინციპი, აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას დადგენილი სავალდებულო მოთხოვნები და გამამტყუნებელი განაჩენი დაეყრდნოს კანონით დადგენილ მტკიცების სტანდარტს. თავად კანონმდებლობამაც სრულად უნდა უზრუნველყოს გარკვეულ საკითხებში უფლების სრული რეალიზება, კერძოდ, მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვა და მოსამართლის როლის გაზრდა არასათანადო მოპყრობასთან ეფექტური ბრძოლის მიზნით. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსში კონკრეტული დანამაჟის დისპოზიცია შესაბამისობაში უნდა მოვიდეს ნორმის მიზანთან და ამით აღმოიფხვრას იმ ქმედების კრიმინალიზაციის პრობლემა, რომლის სისხლის-სამართლებრივი დასჯაც არ შეესაბამება სისხლის სამართლის პრინციპებს.



# თავი III

## ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები

### შესავალი

საიამ კვლევის მიზნებისთვის შეისწავლა 12<sup>44</sup> ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე. კვლევა მოიცავს როგორც 2011 წლის 26 მაისამდე, ასევე 26 მაისს და მოგვიანებით დაკავებულ პირთა საქმეებს, თუმცა, ყველა პირი დაკავებულია 2011 წლის მაისისთვის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით. აღნიშნულის ვარაუდის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტობრივი შეუსაბამობები, რაც თითოეულ საქმეში დაფიქსირდა, ასევე, სამართალდამცავი ორგანოებისა თუ სასამართლოს მხრიდან გამოვლენილი ტენდენციურობა, მიკერძოებულობა და კანონმდებლობის მოთხოვნათა იგნორირება.

წარმოდგენილ საქმეებში პირები ძირითადად დაკავებულნი არიან სამართალდამცავი ორგანოს მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობისთვის,<sup>45</sup> თუმცა, რიგ საქმეებში აღნიშნულ ბრალდებას ასევე ემატება წვრილმანი ხულიგნობაც.<sup>46</sup>

მიუხედავად იმისა, რომ პირები სხვადასხვა დროს და საქართველოს სხვადასხვა კუთხესა თუ ქალაქში არიან დაკავებულები, გამოიკვეთა ძალიან ბევრი საერთო ტენდენცია როგორც დაკავებისას, ასევე სასამართლო განხილვის პროცესსა და დროებითი მოთავსების იზოლაციის პირობებში.

- დაკავებისას გამოკვეთილი ტენდენციები

ძირითადად, არც ერთ დაკავებულს არ განემარტებოდა დაკავებულის უფლებები და მოვალეობები, რაც წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა კოდექსის დარღვევას. ამასთან, დაკავებულებს არ ეძლეოდათ ოჯახის წევრ-

<sup>44</sup> საქმის გარემოებათა იდენტიფიკაციის გამო, 2 საქმე გაერთიანებული სახით არის წარმოდგენილი.

<sup>45</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი.

<sup>46</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლი.

თათვის მათი დაკავების ფაქტის შეტყობინების საშუალება, რაც ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის უხემ დარღვევას.<sup>47</sup> გარდა ამისა, ადგილი ჰქონდა დაცვის უფლების შეზღუდვას – დაკავებულთა უმეტესობას არ მიეცა საშუალება, დაკავშირებოდა ადვოკატს. შესაბამისად, სახეზეა საქართველოს კონსტიტუციის<sup>48</sup> მოთხოვნის უხეში დარღვევა.

რამდენიმე საქმეში პირთა დაკავების დროს ადგილი ჰქონდა ძალის გადამეტებასა და არასათანადო მოპყრობას, რაც ყოვლად დაუშვებელია და არღვევს როგორც საქართველოს კონსტიტუციას,<sup>49</sup> ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას<sup>50</sup> და წარმოადგენს სისხლის სამართლის ნესით დასჯად ქმედებას. ერთ-ერთ საქმეზე, მართალია, დაწყებულია გამოძიება ჯანმრთელობის დაზიანების მიმართულებით, თუმცა – დღემდე უშედეგოდ.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ადმინისტრაციულ პატიმართა ნაწილი დაკავებულია იდენტიური ბრალდებით – უმისამართო გინება, რაც გამოიხატება შეკრებილი საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემლობასა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაში. ბრალდება განსაკუთრებით ეჭვქვეშ დგება იმ პირობებში, როდესაც დაკავებულები პირები ოქმში დაფიქსირებული ვერსიისგან რადიკალურად განსხვავებულ ვერსიაზე საუბრობენ და კატეგორიულად უარყოფენ ოქმისა და პოლიციელების ჩვენებებს.

- **სასამართლო განხილვის პროცესში გამოკვეთილი ტენდენციები**

ყველა საქმეში სასამართლო განხილვას ჰქონდა მხოლოდ ფორმალური ხასიათი. პროცესებისთვის დამახასიათებელი იყო არაგონივრულად მოკლე ხანგრძლივობა, მაგალითად, 5 წუთი, 8 წუთი, ნახევარი საათი. მოსამართლეების მიერ არ ხდებოდა გარემოებათა გამოკვლევა და დადგენა, რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი სამართალდარღვევას. მოსამართლეები არათუ საკუთარი ინიციატივით არ იძიებდნენ და სწავლობდნენ საქმის

<sup>47</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლი.

<sup>48</sup> საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი.

<sup>49</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი.

<sup>50</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.

გარემოებებს, არამედ არ აკმაყოფილებდნენ დაცვის მხარის მუხამდგომლობებს მტკიცებულებათა წარმოდგენის შესახებ. ამის სანაცვლოდ, სასამართლო ცალსახად ეყრდნობოდა პოლიციელთა ჩვენებს და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გამოჰქონდა დადგენილება პირის სამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე. ამასთან, ყველა საქმეში, ერთის გარდა, გამოყენებულია სანქციის უკიდურესი ზომა – პატიმრობა – ყოველგვარი დასაბუთების, მსჯელობისა და დაკავებულის პიროვნული თვისებების გათვალისწინების გარეშე. აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლო, ხშირ შემთხვევაში, დაკავებულებს უზღუდავდა კონსტიტუციით გარანტირებულ დაცვის უფლებას.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სასამართლოს აქტიური ფუნქცია აკისრია. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის საფუძველზე, მას შეუძლია, თავისი ინიციატივით გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და მტკიცებულებები. გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საქმის განმხილველი სასამართლოების მიერ საქმის გარემოებათა დამატებითი გამოკვლევა, მტკიცებულებათა მოპოვება, სახელმწიფოში დღეისათვის არსებული სამართლებრივი კულტურის პირობებში, არის **უპირობო აუცილებლობა** ადმინისტრაციულ დავათა კანონიერად გადაწყვეტისათვის”.<sup>51</sup>

უზენაესი სასამართლო ზემოხსენებულ განჩინებაში დამატებით აღნიშნავს: „... საქმის გარემოებების მოკვლევა-დადგენის, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასების გარეშე, შინაარსს აცლის ადმინისტრაციული სასამართლოს უფლებამოსილებას, უკიდურესად ფორმალურ ხასიათს მისცემს მართლმსაჯულებას, რაც უსათუოდ გამოიწვევს მისდამი ნდობის შერყევას...”

მსგავსი ტიპის საქმეებზე არსებული სასამართლო პრაქტიკა მიანიშნებს, რომ სასამართლოები თავს არიდებენ საპროცესო მოქმედებათა შესრულებას, ხოლო თუ, იშვიათ შემთხვევაში, ასეთი მოქმედება შესრულდა და საქმეში დაცვის მხარის პოზიციის გამამყარებელი მტკიცებულება იქნა წარდგენილი, ეს მაინც არ ცვლის შედეგს, რადგან სასამართლო ამ მტკიცებულებას სათანადო სამართლებრივ შეფასებას არ აძლევს და კვლავ მხოლოდ პოლიციელთა ჩვენების საფუძველზე პირს სამართალდამრღვევად ცნობს.

გარკვეულ გარემოებათა გამო, პოლიციის თანამშრომელიც შეიძლება იყოს სუბიექტური, მიკერძოებული და სასამართლოს

<sup>51</sup> 2009 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე №ბს-1635-1589(კ-08).

აძლევდეს შეგნებულად მცდარ ინფორმაციას. სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ჩვენებათა უპირობოდ, საქმის სხვა მტკიცებულებებსა და გარემოებებთან ურთიერთშეჯერების გარეშე გაზიარება, არღვევს პირის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას. მსგავსი მიდგომა ასევე ეწინააღმდეგება საპროცესო კანონმდებლობის პირდაპირ მოთხოვნას იმის შესახებ, რომ სასამართლოსთვის არავითარ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი სავალდებულო ძალა და, შესაბამისად, პოლიციელთა ჩვენების უპირობოდ გაზიარება დაუშვებელია. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული, რომ სასამართლო „ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათს ერთობლიობაში.“

მხოლოდ პოლიციელის ჩვენებაზე დაყრდნობა დაუშვებელია, რადგან პოლიციელთა მხრიდან ცრუ ბრალდების შემთხვევაში, ნებისმიერ ადამიანის თავისუფლება საფრთხეში დგება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულ იქნა, რომ ადმინისტრაციული პატიმრობა უტოლდება სისხლის-სამართლებრივ დაკავებას. შესაბამისად, სასამართლომ კონვენციის მეხუთე და მეექვსე მუხლების მოთხოვნები გაავრცელა ადმინისტრაციულ პატიმრობაზეც და განმარტა, რომ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირებზე უნდა გავრცელდეს იგივე გარანტიები, რომლითაც სარგებლობენ სისხლის სამართლის წესით დაკავებული პირები.<sup>52</sup> ამ ფონზე კიდევ უფრო აქტუალურია მტკიცების ტვირთისა და უტყუარი მტკიცებულებების წარმოდგენის საკითხი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეებზე.

საყურადღებოა ის გარემოება, თუ სისხლის სამართლის საქმეებზე გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობა 0,2% მაინც აღწევს,<sup>53</sup> ჩვენთვის ცნობილი მრავალი საქმიდან ყველა მათგანი სასკ-ის 173-ე და 166-ე მუხლთან მიმართებით პირის სამართალდამრღვევად ცნობით დასრულდა და, ამ მხრივ, არც გასაჩივრებას მოჰყვოლია არც ერთ შემთხვევაში სხვა შედეგი. შესაბამისად, სახელმწიფოს პოლიტიკა მსგავს ადმინისტრაციულ სამართალ-

<sup>52</sup> საქმეებზე Gurepka v. და Ukraine Galstyan v. Armenia

<sup>53</sup> <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/3-sisxli.pdf>

დარღვევათა საქმეების განხილვის დროს კიდევ უფრო მკაცრია, ვიდრე საყოველთაო შეფასებით მკაცრად აღიარებული სისხლის სამართლის პოლიტიკა.

მსგავსი ტიპის საქმეებზე მიღებული სასამართლო დადგენილებების განზოგადება აჩენს კითხვას იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი მექანიზმებით უნდა დაიცვას პირმა თავი, როცა მას რომელიმე პოლიციელი ბოროტ დაუმორჩილებლობას დააბრალებს? ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში საიას ადვოკატების (და არა მარტო) საკმაოდ მდიდარ პრაქტიკაში არ ყოფილა თუნდაც ერთი შემთხვევა, როცა სასკ-ის 173-ე მუხლში ბრალდებული რომელიმე პირი სასამართლოს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად არ ეცნოს. შესაბამისად, მითითებულ კითხვაზე პასუხი ის არის, რომ ვერც ერთი სამართლებრივი მექანიზმი თუ პროცესუალური საშუალება საქართველოს დღევანდელ სასამართლოში ამ ტიპის საქმეებზე ვერ უზრუნველყოფს კანონიერი და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას.

უზენაესი სასამართლოს მითითებული განჩინების მსჯელობები, სამწუხაროდ, არის არა ზოგადად უზენაესი სასამართლოს მიდგომა და სასურველი სასამართლო პრაქტიკა, არამედ მხოლოდ ერთი საკასაციო პალატის გადაწყვეტილება, რაც მთლიანობაში გავლენას ვერ ახდენს იმ მანკიერ სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის თვალსაჩინო მაგალითებიც კვლევაში შესულ ყველა საქმეზე მიღებული დადგენილებებია.

• **პირობები დროებითი მოთავსების იზოლაცორებში**

თითქმის ყველა საქმეში ადმინისტრაციულ პატიმართა უფლებები უხეშად არის დარღვეული დროებითი მოთავსების იზოლაცორებში. ზოგიერთ მათგანს არ ეძლეოდა საკვები, წყალი, მიუწვდომელი იყო სამედიცინო მომსახურებაც. რამდენიმე საქმეში ადგილი ჰქონდა სისტემატურ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. ღირსებისა და პატივის შემლახველი ქმედებები, პატიმრობის არაადეკვატური პირობები და სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის პრობლემა ცალსახად წარმოადგენს როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №108 ბრძანების (რომელიც განსაზღვრავს იზოლაცორებში დაკავებულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას), ასევე ადამიანის უფლებათა კონვენციის დარღვევას.<sup>54</sup>

<sup>54</sup> მე-3 მუხლი.

## **ბადრი ქველაძის და ბესიკ გელენიძის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები**

ბადრი ქველაძე და ბესიკ გელენიძე არიან „შეფიცულთა“<sup>55</sup> აქტიური წარმომადგენლები, კერძოდ, ბადრი ქველაძე არის „შეფიცულთა“ მარნეულის ოფისის თავმჯდომარე, ხოლო ბესიკ გელენიძე – ამავე ოფისის მდივანი;

2011 წლის 21 მაისს, მოხდა ბადრი ქველაძისა და ბესიკ გელენიძის დაკავება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობა) მუხლების საფუძველზე. 21 მაისს სასამართლომ განიხილა ჯერ გელენიძის, შემდეგ ქველაძის საქმე, ორივე მათგანი ცნო სამართალდამრღვევად და თითოეულს შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღის ვადით.

## **ლევან ჩიტაძის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე**

ლევან ჩიტაძე არის მოძრაობა „არა“-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი, გამგეობის წევრი და მოძრაობის თავმჯდომარე.

ლევან ჩიტაძეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 7 მაისის დადგენილებით ადმინისტრაციული სახდელი დაედო საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) მუხლების საფუძველზე. ადმინისტრაციული სახდელის სახით ჩიტაძის მიმართ გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული პატიმრობა 30 დღის ვადით.

<sup>55</sup> საზოგადოებრივი მოძრაობა „სახალხო კრების“ მიერ შექმნილი პირთა გაერთიანება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ხელისუფლების უკანონო ქმედებებზე კანონის ფარგლებში რეაგირება: [http://www.saqinform.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=3609:2011-02-04-08-04-12&catid=98:politics&Itemid=457#axzz250TpW7Co](http://www.saqinform.ge/index.php?option=com_content&view=article&id=3609:2011-02-04-08-04-12&catid=98:politics&Itemid=457#axzz250TpW7Co) .

## **გოჩა ნიკლაურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე**

გოჩა ნიკლაური 2008 წლიდან დღემდე დემოკრატიული მოძრაობა „ერთიანი საქართველოს“ წევრია. დაკავებამდე ის აქტიურად მონაწილეობდა საპროტესტო აქციების ორგანიზებასა და გამართვაში. არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, ვიცე-პოლკოვნიკი.

ადმინისტრაციულ ოქმში დაკავების საფუძვლად მითითებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (სასკ) 173-ე მუხლი - *სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა*.

2011 წლის 21 მაისს გოჩა ნიკლაურის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ და მიიღო დადგენილება მის მიმართ 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების თაობაზე.

## **კახაბერ ერგემლიძის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე**

კახაბერ ერგემლიძე არის „ქართული პარტიის“ წევრი, გორის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. ერგემლიძე პოლიტიკურად აქტიური პიროვნებაა. 2011 წლის 21 მაისს, როდესაც თბილისში ოპოზიციურად განწყობილმა პოლიტიკური პარტიებმა საპროტესტო აქციები დაიწყეს, ის ორგანიზებას უწევდა შიდა ქართლიდან მოქალაქეთა გადაადგილებას.

2011 წლის 21 მაისს ხაშურის რაიონული სასამართლოს დადგენილებით, კახაბერ ერგემლიძე ცნობილ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული გადაცდომის ჩამდენად, რაც ითვალისწინებს სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. ადმინისტრაციული სახდელის სახით ერგემლიძეს შეეფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 25 დღე-ღამის ვადით.

## **ალიოზა ორუჯოვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე**

ალიოზა ორუჯოვი 2010 წლიდან არის პოლიტიკური პარტიის „სახალხო კრების“ თელავის ორგანიზაციის წევრი. 2011 წლის 21 მაისს, სხვა აქტივისტებთან ერთად, აპირებდა წასვლას თბილისში დაგეგმილ აქციაზე. მასვე უნდა უზრუნველყო თანამონაწილეების ტრანსპორტირება.

2011 წლის 21 მაისს თელავის რაიონულმა სასამართლომ განიხილა ალიოზა ორუჯოვის საქმე და მიიღო დადგენილება ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (სასკ) 173-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის – სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კანონიერი განკარგულების ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა – და შეუფარდა 90 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა.

## **გიორგი თანდილაშვილის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე**

გიორგი თანდილაშვილი დაკავებული იქნა 2011 წლის 22 მაისს თელავის რაიონის სოფელ წინანდალში. იგი არ არის არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი. 21 მაისს მონაწილეობდა ქ. თბილისში გამართულ საპროტესტო აქციაში, ნ.ბურჯანაძის პარტიის აქტივისტებთან ერთად.

ადმინისტრაციულ ოქმში დაკავების საფუძვლად მითითებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (სასკ) 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს მუშაკის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) და 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლები. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, „სოფელ წინანდალში, დასახლებულ პუნქტში, გიორგი თანდილაშვილი იგინებოდა ხმამაღლა და არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, ასევე, არ დაემორჩილა პოლიციის კანონიერ მოთხოვნას.“

2011 წლის 22 მაისს თელავის რაიონულმა სასამართლომ განიხილა გიორგი თანდილაშვილის საქმე და მიიღო დადგენილება მისი ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნობის თაობაზე, რისთვისაც შეუფარდა 90 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა.



## **მორის აკოფიანის სამართალდარღვევის საქმე**

მორის აკოფიანი არის ქარელის რაიონში ერთ-ერთი ტაძრის სტიქაროსანი და წმინდა გიორგის სახელობის გიმნაზიის მენეჯერი. 2011 წლის მაისის მეორე ნახევარში თბილისში გამართულ აქციებში იგი მონაწილეობდა, როგორც პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ქარელის რაიონული ორგანიზაციის აქტივისტი. აკოფიანი აქციებში ჩაერთო 21 მაისიდან.

პოლიციის მიერ შედგენილი სამართალდარღვევის ოქმის თანახმად, მორის აკოფიანი არ დაემორჩილა პოლიციელთა არაერთ კანონიერ მოთხოვნას და წინააღმდეგობა გაუწია მათ, რითაც მან ჩაიდინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობა. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2011 წლის 26 მაისის დადგენილებით (საქმე №4/3176-11), მორის აკოფიანი ზემოთ მითითებული მუხლის დამრღვევად ცნო და შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 35 დღის ვადით

## **ანდრეი გორას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმე**

ანდრეი გორა არ არის არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი. რუსთაველის გამზირზე გამართულ საპროტესტო აქციებში მონაწილეობა არ მიუღია. 25 მაისს დაინტერესდა მიმდინარე მოვლენებით და დაახლოებით 11:30 საათზე მივიდა რუსთაველის გამზირზე, თუმცა, მისი მიზანი აქციაში მონაწილეობის მიღება არ ყოფილა.

ადმინისტრაციულ ოქმში, დაკავების საფუძვლად მითითებული იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა კოდექსის (სასკ) 173-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება – სამართალდამცველი ორგანოს მუშაკის კანონიერი განკარგულებისა ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

2011 წლის 26 მაისს ანდრეი გორას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ და მიიღო დადგენილება ანდრეი გორას მიმართ 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების თაობაზე.

## **დავით ჟღენცის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმე**

დავით ჟღენცი მონაწილეობდა 2011 წლის 26 მაისის აქციაში. არ არის არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, ამჟამად უმუშევარია, წარსულში მუშაობდა საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე.

დავით ჟღენცის დაკავება მოხდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე – *სამართალდამცავი ორგანოს მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობა. სასამართლოს მიერ განესაზღვრა პატიმრობა 60 დღით.*

## **მურმან ღუმბაძის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე**

2011 წლის 21 მაისს სახალხო კრების ბათუმის ორგანიზაციამ მოაწყო მიტინგი ქ.ბათუმში, ერას მოედანზე, სადაც მურმან ღუმბაძეც იღებდა მონაწილეობა. 2011 წლის 23 მაისს, თანამოაზრეებთან ერთად, ბათუმიდან ჩამოვიდა თბილისში და შეუერთდა კოსტავას ქუჩაზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის შენობასთან, „სახალხო კრების“ მიერ ინიცირებულ თბილისის მთავარ სამმართველოში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შედგენის შემდეგ, მურმან ღუმბაძე გადაყვანილ იქნა სასამართლოში. 2011 წლის 26 მაისს მურმან ღუმბაძის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ და მიიღო დადგენილება მის მიმართ 30 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების თაობაზე.

## **დავით ფაცაცია, გიორგი ლაპიაშვილის და ვახტანგ მაისურაძის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე**

დავით ფაცაცია ორგანიზაციის – „რატომ“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარე იყო. ამავე ორგანიზაციის დამფუძნებელს წარმოადგენდა ვახტანგ მაისურაძე. 2010 წლიდან 2011 წლის აპრილამდე დავით ფაცაცია იყო პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარე, ხოლო ვახტანგ მაისურაძე – მისი მოადგილე. გიორგი ლაპიაშ-

ვილი იყო პარტია „ახალი მემარჯვენეების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი.

დავით ფაცაციას, გიორგი ლაპიაშვილისა და ვახტანგ მაისურაძის დაკავება მოხდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (სასკ) 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) და 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტად დაუმორჩილებლობა) მუხლების საფუძველზე. 2011 წლის 28 მაისს სასამართლომ მაისურაძეს შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 60 დღის ვადით, რომელიც სააპელაციო სასამართლოს მიერ 4 დღემდე შემცირდა, ხოლო ლაპიაშვილს დაეკისრა ჯარიმა 400 ლარის ოდენობით. დავით ფაცაციას შემთხვევაში კი, სასამართლო გაფრთხილებით შემოიფარგლა.